ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ბავარიული დერბი ევროპის ეპიცენტრია



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.12 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 05.12 | ვალენსია-ბარსელონა | 8.0 | 5.5 | 1.33 |
| 05.12 | დეპორტივო-სევილია | 2.9 | 3.6 | 2.3 |
| 05.12 | გლადბახი-ბაიერნი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 05.12 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 05.12 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 4.2 | 4.0 | 1.75 |
| 05.12 | ტორინო-რომა | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 05.12 | ინტერი-ჯენოა | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 06.12 | ნიუკასლი-ლივერპული | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 06.12 | ბოლონია-ნაპოლი | 7.5 | 4.33 | 1.44 |
| 06.12 | ბორდო-გენგამი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 06.12 | სტ.ეტიენი-რენი | 2.1 | 3.1 | 3.8 |

შაბათი – კვირა, 5 – 6 დეკემბერი, 2015 №286 (6906) ფასი: 50 თეთრი

# გოკა გაბაშვილი: „სააკაშვილი ხელისუფლების გიჟია“



გვ.2

„მიშას მონები უნდა. ჩვენ მონები ვერ გავხდებით“

განხეთქილება ნაციონალებში იზრდება

## მარგველაშვილმა სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა



გვ.2



სააკაშვილი: „საქართველოს ხელისუფლებას ჩემი ეშინია“

## „ივანიშვილი შეცდა, როცა „ქართული ოცნება“ მკაცრად არ აკრიტიკა“



გვ.3



რამაზ საყვარელიძე: „ადამიანისთვის, რომელიც ამდენ ქველმოქმედებას ჩადის, სახელის გატეხა თავის გატეხაზე უარესი უნდა იყოს“

## გამნაღმველებმა ბუკიას ბაღთან, ავტომობილზე მიმაგრებული ხელყუმბარა იპოვეს




4 დეკემბერს, გამნაღმველებმა ბუკიას ბაღთან, „ტოიოტას“ მარკის ავტომობილზე მიმაგრებული ხელყუმბარა იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, ხელყუმბარა ავტომობილის ქვეშ იყო დამაგრებული. მათივე განმარტებით, გამნაღმველებმა ხელყუმბარა მოხსნეს.

ინტერპრესნიუსი

## კარლო კოპალიანი: „ირაკლი ალასანია ამბიციებმა დაღუპა“



გვ.5

„ნაციონალების ჭკუაზე არ დავდივართ“

„კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ ბევრი რამე შეეშალა. შეცდომები ამბიციებმა დააშვებინა. ახლაც ეს ამბიცია აშვებინებს შეცდომებს. ხელისუფლებას ვერ შეცვლიან, მაგრამ პარლამენტში მოხვდებიან, რასაც მივესალმები. ნაციონალებისგან განსხვავებით, თავისუფალი დემოკრატები ნამდვილი ოპოზიციაა".



## მარჯვენასაჭიანები შსს-სთან საპროტესტო აქციას გამართავენ



გვ.6

## გოგი ქავთარაძე: „ხელისუფლებით კმაყოფილი არ ვარ“



გვ.4

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მარგველაშვილმა სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა

## სააკაშვილი: „საქართველოს ხელისუფლებას ჩემი ეშინია“

შორენა მარსაგიშვილი

**მშობლიურმა ხელისუფლებამ დანაპირები შეასრულა და 4 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა.**

ამ საკითხზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად დაინიშნა. მაშინ „ქართულ ოცნებაში“ შიშობდნენ, რომ გიორგი მარგველაშვილი მათ ამ ამბავში მხარს არ დაუჭერდა. რიგი მიზეზების გამო ხელისუფლებამ ეს თემა დროებით მიივიწყა.

თემამ აქტუალობა რამდენიმე კვირის წინ შეიძინა, როცა მოსალოდნელ გადატრიალებაზე დაიწყო საუბარი. უკრაინულ მედიაში მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ნაციონალების საუბრის ჩანაწერები გამოქვეყნდა.

ამ ფაქტმა, ეტყობა, მეოცნებეებთან მუდმივად ოპოზიციურ რეჟიმში მყოფი მარგველაშვილიც გააცეცხლა. ყოველ შემთხვევაში, მან განაცხადა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში არეულობას არ უნდა გეგმავდნენ.

ამ განცხადებამ მეოცნებეები ცოტა დაამშვიდა, მაგრამ რეზიდენციის თემაზე დაწყებული დაპირისპირების გამო მაინც უიმედოდ იყვნენ.

მათი შფოთვა ამაო გამოდგა, რადგან ავლაბრის სასახლის ბინადარმა წინამორბედს ცუდი განაჩენი გამოუტანა და მისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ გამოსცა ბრძანებულება.

– საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 4 დეკემბრის №378 ბრძანებულებით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით, საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს, დაბადებულს 1967 წლის 21 დეკემბერს, – ნათქვამია ბრძანებულებაში.

* * *

ლიდერისთვის მოქალაქეობის შეწყვეტას ნაციონალურ მოძრაობაში შედარებით მშვიდად შეხვდნენ. არადა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იმედოვნებდნენ, რომ „ქართული ოცნება“ ასეთ სულელურ ნაბიჯს არ გადადგამდა.

ნაციონალური მოძრაობის რეგიონული მდივანი ნუგზარ წიკლაური სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტას სამართლებრივი ბერკეტების პოლიტიკური ნიშნით გამოყენებას უწოდებს.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, „ქართული ოცნების“ მხრიდან ასეთი ოდიოზური ქმედების არაერთ შემთხვევას ჰქონია ადგილი.

წიკლაური დარწმუნებულია, რომ მოქმედი ხელისუფლება ამ პრაქტიკას მომავალშიც გააგრძელებს.

– მიხეილ სააკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ძალიან მნიშვნელოვანი გარდაქმნები ჩვენს ქვეყანაში. ახლა იმის გამო, რომ 2016 წელი ახლოვდება, ხელისუფლებას აქვს არჩევნებში დამარცხების შიში, ამიტომ გადაწყვიტეს, ამ გზებით აღუკვეთონ მას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა ასეთი მექანიზმებით შეზღუდვა ვერ მოხდება.

მიხეილ სააკაშვილი ის პოლიტიკური ლიდერია, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება პოლიტიკაზე. ცხადია, ის რჩება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ ლიდერად, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის წინააღმდეგობებს შეუქმნის ხელისუფლება, – აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

მისივე ცნობით, პარტიის თავმჯდომარის არჩევის საკითხთან დაკავშირებით პოლიტსაბჭო შეიკრიბება და იმსჯელებს.

თავად წიკლაური მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ახალი პოლიტიკური ლიდერის არჩევა აუცილებელი არ არის:

– რეალურად, მიხეილ სააკაშვილი არის ლიდერი ნაციონალური მოძრაობისთვის, ხოლო სხვა ტექნიკური ხასიათის დეტალები იმის მიხედვით გადაწყდება, როგორი ვითარება იქნება, – აღნიშნა დეპუტატმა.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ნაპრეზიდენტალისთვის მოქალაქეობის შეწყვეტას დიდ ტრაგედიად არ მიიჩნევს და ამბობს, რომ სააკაშვილმა არჩევანი თავად გააკეთა და საქართველოს მოქალაქეობას უკრაინაში გუბერნატორობა ამჯობინა.

– ეს სააკაშვილის არჩევანი იყო და საქართველოს ხელისუფლება, შესაბამისი ორგანოები მოიქცნენ ისე, როგორც კანონმდებლობით იყო განსაზღვრული, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სესიაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა. ისინი ფიქრობდნენ, რომ, მთავრობასთან დაპირისპირების გამო, მარგველაშვილი ასეთ განკარგულებას არ გამოსცემდა.

ასეთი ხალხის რიგებში აღმოჩნდა ყოფილი დეპუტატი ირინა სარიშვილი. ის ფიქრობს, რომ პრეზიდენტი ასე სხვა მიზეზით მოიქცა და ამ მიზეზს ავლაბრის რეზიდენცია ჰქვია.

– ზოგადად ადამიანი არასწორად მაშინ იქცევა ან საკუთარ პრინციპებს მაშინ ღალატობს, როცა რაღაც უჭირს და პრობლემა აქვს... მოწოდებით მოღალატე ძალიან ცოტაა ალბათ... სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის სანაცვლოდ, პრეზიდენტის სასახლეში მშვიდი ბინადრობა? და რამდენი ხნით? ალბათ მომავალი უპრინციპო საქციელის ჩადენამდე.. ცუდია, როცა არა მხოლოდ გაკეთებულ საქმეებზე, არამედ უფლებებზე მეტი ანგარებით გადადგმული ნაბიჯებია, – ამბობს ირინა სარიშვილი.



**ნუგზარ წიკლაური: „ის მაინც დარჩება ნაციონალური მოძრაობის ლიდერად“**

4 დეკემბერს, საღამოს, მიხეილ სააკაშვილმა მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე კომენტარი გააკეთა.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა რადიო თავისუფლების უკრაინულ სამსახურს და განაცხადა, რომ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა არის არა უბრალოდ იურიდიული, არამედ პოლიტიკური აქტი „იმ შეშინებული და შეუმდგარი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც არ ემსახურება ეროვნულ ინტერესებს.“

სააკაშვილის თქმით, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა იმას უკავშირდება, რომ საქართველოს ხელისუფლებას მისი ეშინია.

– რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მათ ძალიან ეშინიათ ჩემი. როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, თავიდანვე ამბობდნენ, რომ მათი მიზანი ჩემი ციხეში ჩასმაა, – განუცხადა რადიოსადგურს მიხეილ სააკაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს არ მისცეს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა მომავალი წლის არჩევნებში.

– თუმცა მე არ მითქვამს, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა მსურს. ჩემი პარტია ისედაც ყველაზე პოპულარულია ახლა საქართველოში. ბოლო გამოკითხვებით, ის პირველ ადგილს აიღებდა. ამ გამოკითხვებით მას 30% უჭერდა მხარს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მთავარი ლიდერი ან საზღვარგარეთაა გაძევებული, ან ციხეში ზის. მმართველი პარტია მას რამდენიმე პროცენტით ჩამორჩება და მისი რეიტინგი განაგრძობს კატასტროფულ დაცემას, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# გოკა გაბაშვილი: „სააკაშვილი ხელისუფლების გიჟია“

## „მიშას მონები უნდა. ჩვენ მონები ვერ გავხდებით“

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობას აშკარად ცუდი პერიოდი უდგას. უკრაინულმა მედიამ მათი საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნება განაახლა. ამჯერად ამ საუბრებში ისინი ერთმანეთს ლანძღავენ.**

ამ დღეებში რამდენიმე ჩანაწერი გამოქვეყნდა. ყველაზე დიდი რეზონანსი დეპუტატ გოკა გაბაშვილის და მისი ძმის საუბრის ჩანაწერმა გამოიწვია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებელი გაბაშვილი უცენზურო სიტყვებით გამოხატავს პარტიაში არსებულ ვითარებას.

უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებული ჩანაწერის თანახმად, გოკა გაბაშვილი უკრაინაში მყოფ მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, დავით საყვარელიძეს, ასევე მურთაზ ზოდელავასა და გიორგი ვაშაძეს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს და ამბობს, რომ სააკაშვილს გვერდით მონები უნდა.



**განხეთქილება ნაციონალებში იზრდება**

**გოკა გაბაშვილი:**

– მიშა არის ინიციატორი ამ ყველაფრის, მაგრამ ვითომ არ ჩანს. ადეიშვილი, ვარშალომიძე, მურთაზ ზოდელავა, მაქაური პრ....ჭები, საყვარელიძე, ვინც არიან უკრაინაში და ციხიდან ბაჩო და რაღაცა... ყველა ერთად, ბოკერიას, მე, გიგის – ჩვენ სასტავს გვებრძვიან და უნდათ ჩაჩოჩება.

ჩვენ ვეუბნებით, რომ შედეგი თუ გინდათ არჩევნებზე, აგერ ვართ და თუ არა და შეიტენეთ ტრ...ში და ვნახავთ, რასაც იზამთ-თქო, თქვენი დედაც მოვ....თო...

იმის მაგივრად, რომ ბიძინაზე ფიქრობდეს, ჩვენზე ფიქრობს ტიპი. წესით, ჯერ ოდესაზე უნდა ფიქრობდეს, მერე ბიძინაზე და ბოლოს ჩვენზე. ის კი ჯერ ჩვენზე ფიქრობს და მერე ყველა დანარჩენზე. ეჭვიანობს, რომ ისე დავლაგდებით, ეგ აღარ დაგვჭირდება, ეჭვიანობს, ნუ, გიჟია.

რათ უნდა უნდოდეს ბაჩოს და ადეიშვილის დალაგებული პარტია და ხალხი აღფრთოვანებით შეეგებება ქართულ პოლიტიკაში ამ ორი დიდი მოღვაწის გაბლატავებას?

იმის მაგივრად, რომ მალავდეს და აჩოჩებდეს თავის ყოფილ პაზორნი ძალოვნებს, ისევ იმათ ეყრდნობა და ისევ იმათი იმედი აქვს და იყოს, ახლა, რა ვუყოთ ჩვენ.

გიჟია რა, ხელისუფლების გიჟია. არ უნდა ჯანმრთელი ადამიანები, მონები უნდა. ჩვენ მონები ვერ გავხდებით. ვინც ჰყავს მონები, იმათ ეყრდნობა. სამ კვადრატულ მეტრში მჯდომ გიგის ებრძვის იქიდან და იმდენი ნამუსიც არ აქვს, რომ გიგისთან ბრძოლა არ იკადროს. რეკავს ხალხთან და ეუბნება, რომ უგულავას ხალხია და უგულავას ხალხია.

ამ სკანდალური მონოლოგის დასრულების შემდეგ, მას ძმა სთავაზობს, რომ გოკა და გიგა ჩავიდნენ უკრაინაში და დაელაპარაკონ. ამაზე გაცეცხლებული გაბაშვილი პასუხობს, რომ ასეც იქნება.

* * *

ნაციონალურ მოძრაობაში ამ ჩანაწერის გამოქვეყნებას გარეგნულად მშვიდად შეხვდნენ, თუმცა, როგორც ამბობენ, შიგნით დიდი გარჩევები იყო.

ამ თემაზე მოკლე კომენტარი გააკეთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა. მისი თქმით, ეს ჩანაწერი ბიძინა ივანიშვილის გამოხდომით გაკეთებული, მიჭრილ-მოჭრილი ფაბრიკაციაა,

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი კარგად ხვდება, რომ ჩვენ ერთიანად, ძალიან მალე დავასრულებთ რეჟიმს, რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა, – აღნიშნა მინაშვილმა.

ნაციონალებში დაწყებულ ცოდვა-მადლის ტრიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელიც ეხმიანება.

ამირსპასალარი სააკაშვილთან დაკავშირებულ ვითარებას ტრაგიკომიკურს უწოდებს.

– ძალიან ტრაგიკულია თუ ტრაგიკომიკური -– აღარც ვიცი, რა ვთქვა -– რომ ქვეყნის ხელისუფლებაში 10 წლის განმავლობაში მყოფი პარტია ვერ ახერხებს განქორწინებას ადამიანთან, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეც კი აღარაა, რომლის პრეზიდენტადაც მუშაობდა. ეს ყველაზე ტრაგიკომიკურია.

ამის იქით უკვე აღარაფერია საინტერესო, რადგან ყველაფერი გასაგებია. ადამიანი ღიად, საჯაროდ, ფარულ ჩანაწერებში კი არა, უკრაინულ ტელეეთერებში ამბობს, რომ მისი ყველაზე საამაყო სამსახური ის არის, რომელიც დღეს აქვს. ეს კაცი 2 წელი თავს ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ არჩეულ პრეზიდენტს ეძახდა, -– აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბაძე

# „ივანიშვილი შეცდა, როცა „ქართული ოცნება" მკაცრად არ აკრიტიკა"

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე უკვე უმრავლესობაც ღიად ალაპარაკდა.**

ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ ივანიშვილის მხრიდან ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდეს, თუმცა ამ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს.

– სიმართლე გითხრათ, მე ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ივანიშვილი ადრეც უნდა მობრუნებულიყო პოლიტიკაში. ამის საჭიროება ჩანდა. დღეს მისი ეს ნაბიჯი, შესაძლოა, ცოტა სარისკოც იყოს, – ამბობს რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან" საუბარში.

***– სარისკო რა კუთხით?***

– კრიტიკულობის გარკვეული ზღვარი არსებობს. გასარკვევია, ეს ხომ არ არის მიღწეული იმ ეტაპამდე, როცა მოსახლეობა ივანიშვილის მიმართაც, შესაძლოა, კრიტიკული აღმოჩნდეს.

***– ანუ დააგვიანა ივანიშვილმა?***

– არ არის გამორიცხული, რომ იყოს დაგვიანებული, თუმცა მე ვთვლი, რომ მისი ავტორიტეტი, მიუხედავად პარტიის წამგებიანობისა, მაინც მაღალია. ჩემი აზრით, ივანიშვილს ერთი შეცდომა ჰქონდა.

***– რომელ შეცდომაზე საუბრობთ?***

– თავის პარტიაზე მსჯელობის დროს იშვიათად იყო კრიტიკული. გულში შეიძლება ფიქრობდა და შინაურულად შეიძლება ამჟღავნებდა ამ კრიტიკულობას, მაგრამ მოსახლეობისთვის მისი დამოკიდებულება პარტიის მიმართ მაინც იყო ნაკლებად კრიტიკული, ვიდრე თვითონ მოსახლეობისა.

***– ღიად უნდა დაპირისპირებოდა საკუთარ გუნდს?***

– უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება გასაგები მოსახლეობის პოზიცია და ხალხს უნდა სცოდნოდა, რომ იგივე პოზიცია უკავია ივანიშვილსაც. არადა ვიცით, რომ ის გუნდით უკმაყოფილო იყო. ამ პროცესმა თუ არ შეუშალა ხელი, არა მგონია, სხვა მხრივ რაიმე პრობლემა წარმოშვას მისმა პოლიტიკაში დაბრუნებამ.

***– ხალხში იმედგაცრუება ძალიან დიდია. გამოუცხადებენ მას კიდევ ერთხელ ნდობას?***



## რამაზ საყვარელიძე: „ადამიანისთვის, რომელიც ამდენ ქველმოქმედებას ჩადის, სახელის გატეხა თავის გატეხაზე უარესი უნდა იყოს"

– საზოგადოებამ უნდა გადადგას იგივე ნაბიჯი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ არ გამოუცხადებს ნდობას, დიდი ალტერნატივა საზოგადოებასაც არ აქვს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, არის ნაციონალური მოძრაობა, რომლის რეიტინგიც ერთ ადგილზე დგას და, მეორე მხრივ, მოდის ახალი პარტიების რიგი, რომლებიც რას წარმოადგენენ, ხელისუფლებაში როგორები იქნებიან, არავინ იცის, ხოლო ბიძინა ივანიშვილის მართვის სტილი მაინც მეტ-ნაკლებად ნაცნობია.

***– თქვენ ამბობთ, რომ შეჩვეული ჭირი გვერჩიოს?***

– დაახლოებით მაგ ფორმულით და ეს ფორმულა შემთხვევითი ხომ არაა? ადამიანების გამოყენებული ფორმულაა. ჩვენ ვართ მოწყობილი ასე, რომ უჩვეულო გვაშინებს ხოლმე და შეიძლება, ამან ითამაშოს გარკვეული როლი.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ არსებობს შავი სია, საგრძნობლად გაიცხრილება უმრავლესობის რიგები. ასე იქნება?***

– შავი და თეთრი, ხომ? ანუ იმათი შავი, ვინც შეიძლება ველარ მოხვდეს და იმათი თეთრი, ვინც დარჩება. ალბათ, ასეთი სია არის. იმდენად ხშირად ითქვა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვლება პარტიის შემადგენლობა, რომ, ალბათ, ასეთი სია ზოგადად მუშავდება, თუმცა ბოლო მომენტამდე არ იქნება ეს სია ამოტივტივებული.

***– „ოცნებამ" უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, პენსიების ზრდაც დააანონსა, თუმცა გვესმის შეფასებები, რომ მათ მიერ გადადგმული დადებითი ნაბიჯებიც კი საზოგადოების თვალში უარყოფითად წარმოჩნდება. რატომ? რას ვერ თვლიან სწორად?***

– ეს ხარვეზი ისევ ივანიშვილს უკავშირდება, როცა მან თქვა, პიარი არ გვინდა, მოსახლეობა ისედაც ყველაფერს გაიგებსო. სამწუხაროდ, ადამიანებს პიარი სჭირდებათ. პოლიტიკაში – მით უმეტეს, რადგან პოლიტიკაში ძალიან ძნელია, მხოლოდ შენი შთაბეჭდილებებით მიაგნო ყველაფერს. ერთადერთი, ყოველგვარი პიარი ზედმეტი აღმოჩნდა ჯანდაცვის სისტემის რეფორმაში.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეეხო და უკვე ის პოზიტივი, რომელიც ამ რეფორმამ გამოიწვია, იყო მისი პიარი. სხვა შემთხვევაში, სადაც ასეთ დიდ რაოდენობაზე არ გადის სამთავრობო საქმიანობები, იქ პიარი გჭირდება იმისთვის, რომ ადამიანებმა გაიგონ, რა გააკეთე.



***– ბატონო რამაზ, როდესაც საუბარია ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე, როგორ წარმოგიდგენიათ, რა სტატუსით დაბრუნდება იგი? ან რა იქნება შემდეგ? ხომ არ გაიმეორებს იმავეს და შუა გზაში მიატოვებს ყველაფერს? ეს კითხვები სერიოზულად ისმის საზოგადოების მხრიდან.***

– ეს დიდი კითხვის ნიშანი უდავოდ არის და, თუკი ეს მოხდა, ალბათ, ძალიან მძიმე რეაქცია ექნება მოსახლეობას. მე იმედი მაქვს, რომ ივანიშვილისთვის სახელს, იმიჯს, მნიშვნელობა აქვს. ადამიანისთვის, რომელიც ამდენ ქველმოქმედებას ჩადის, სახელის გატეხა თავის გატეხაზე უარესი უნდა იყოს. ამიტომ არ გადადგამს იმავე ნაბიჯს.

***– თუმცა, არც ის არის მოსალოდნელი, რომ რიგითი დეპუტატის სტატუსით მოგვევლინოს. კვლავ ჩაიბარებს მთავრობის მეთაურის პოსტს?***

– წესითა და კანონით, ან მთავრობის მეთაური უნდა იყოს, ან პარლამენტის თავმჯდომარე, თუკი სიის სათავეში იქნება. ისევ ჩრდილში გადასვლა კი მეტისმეტად არასახარბიელო მდგომარეობას შეუქმნის და, არა მგონია, თვითონ არ ფიქრობდეს ამ საკითხზე.

***– პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ აგდებულმა დამოკიდებულებაც შეულახა ხელისუფლებას იმიჯი. უშიშროების საბჭოს სხდომას, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ამჟამად დასწრებიან ივანიშვილის გუნდის წევრები. ეს დამოკიდებულება არ დააზარალებს ხელისუფლებას?***

– გეთანხმებით, რომ ნამდვილად არ არის სასიამოვნო სურათი. პირიქით, ხელისუფლებისთვის წამგებიანია, თუმცა, ვერც იმას ვიტყოდი, რომ პრეზიდენტისთვის იყოს ეს მომგებიანი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხშირად პრეზიდენტის ნაბიჯებიც არ არწმუნებდა საზოგადოებას იმაში, რომ ის ნაბიჯები აუცილებლად გადასადგმელი იყო.

ეს გაბუტვის რეჟიმი, უპირველეს ყოვლისა, „ქართულ ოცნებას" ვნებს.

***– პრეზიდენტს თუ შეეშალა უმრავლესობასთან ურთიერთობაში?***

– პრეზიდენტს უფრო მოსახლეობასთან ურთიერთობაში შეეშალა, მეტისმეტად მოინდომა საკუთარი პერსონის წინ წამოწევა, მაშინაც კი, როცა ამის აუცილებლობა არ იყო. მან თავიდან საკმაოდ კარგად მოახერხა საპრეზიდენტო სტატუსის წარმოჩენა დაპირისპირების პირველ პერიოდში და აღარ იყო აუცილებელი, შემდეგ დუელი გამართულიყო. აი, ამიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტის ნაბიჯები გაუფასურდა და მათ დაპირისპირების სახე მიეცა.

ვინც დაპირისპირებულია, ის აგებს. სამწუხაროა, რომ ამ ვითარებაში არც ერთი მხარე მოგებული არ არის.

# ვოლსკი: „მარგველაშვილმა სპეკულაციას თავი უნდა დაანებოს"

გულიკო ბალაძე

## „ივანიშვილი პოლიტიკაში არ დაბრუნდება"

**ნაცმოძრაობის გუნდში დაპირისპირებაა. ის გაყოფილია რამდენიმე ნაწილად, მაგრამ მათი ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან დესტაბილიზაციის მოწყობაში.**

ასეთ დასკვნებს აკეთებს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი.

– ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ფარულ ჩანაწერებში ერთმანეთს ცუდი სიტყვებით კი მოიხსენიებენ, მაგრამ მათ ერთი მიზანი აქვთ. ნაცმოძრაობის რამდენიმე ნაწილად დაყოფილი გუნდი ცდილობს ქვეყანაში დესტაბილიზაცია შექმნას. ყველა ნაწილს თავისი მოსაზრება აქვს დესტაბილიზაციის შექმნის გზების თაობაზე, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ „რეპორტიორის" პრესკლუბში.

მან აღნიშნა, რომ ნაციონალები ერთმანეთს გიჟებად მოიხსენიებენ და უარეს სიტყვებსაც უწოდებენ, მაგრამ ისინი მაინც ერთი გუნდია და ერთი თავი ჰყავთ – მიხეილ სააკაშვილი.

– ამ გუნდის შიგნით დაპირისპირებაა, მაგრამ ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის უფრო მეტად შეუძლია დესტაბილიზაციის მოწყობა – ინტელექტუალი გაბაშვილისა და ბოკერიას ჯგუფს თუ უინტელექტო-კომკავშირულ ჯგუფს ვაშაძის მეთაურობით, – აღნიშნა დეპუტატმა.

გიორგი ვოლსკი ნაციონალების პარლამენტში რიტორიკას უწუნებს, ხოლო ჭიაბერაშვილს უზნეო ადამიანს უწოდებს, რომელიც ურცხვად იტყუება.

– დააკვირდით ნაციონალების რიტორიკას პარლამენტში – ნაციონალური მოძრაობა არის ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა და ქვეყანას დაალაგებს, ჩვენ კი ვართ მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია მართვა და თითქოს ამიტომ არის ხალხი გაღარიბებული. ციფრებში რომ ჩავდივართ და ვეუბნებით, რომ ქვეყანაში მილიარდამდე ადამიანია, რომელსაც სახელმწიფო უწევს დახმარებას, საპასუხოდ შერჩეული ჰყავთ ჭიაბერაშვილი, ეს უზნეო ადამიანი, რომელიც ისე იტყუება, არც კი რცხვენია, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

დეპუტატის აზრით, „ქართულმა ოცნებამ" თავი უნდა დაანებოს ნაციონალების გამონათქვამებზე კომენტარს.

– მხედველობაში უნდა გვქონდეს და ზომები მივიღოთ. გამონაკლისის გარდა, შეუძლებელია, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს რაიმე სტრატეგიულ თემაზე ელაპარაკო. ყველა ფიქრობს და აზროვნებს ისე, როგორც ფარულ სატელეფონო ჩანაწერებშია. გამორიცხულია, რომ ტყუილი არ თქვან, – აღნიშნა მან.

გიორგი ვოლსკიმ პრეზიდენტი მარგველაშვილიც გააკრიტიკა.

მან დადებითად შეაფასა პრემიერ ღარიბაშვილის გადაწყვეტილება, არ დასწრებოდა 4 დეკემბერს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომას.

– საზოგადოებასთან თამაშს თავი უნდა დავანებოთ. უშიშროების საბჭო ძალიან მნიშვნელოვანი ორგანოა. პრეზიდენტის ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ პრეზიდენტმა ამ სპეკულაციას თავი უნდა დაანებოს. მას სხვა ფუნქცია აქვს. მისი ფუნქციაა, დაარეგულიროს, დააბალანსოს, თუ რამე წინააღმდეგობაა, – განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

***– უშიშროების საბჭო რისთვის სჭირდება პრეზიდენტს?***

– საკონსულტაციოდ.

***– პრეზიდენტი რით სპეკულირებს?***

– პრეზიდენტი სპეკულირებს იმით, რომ არჩეულია. თითქოს მის არჩევაში მონაწილეობა ჩვენ არ მიგვიღეთ. მისი მხრიდან გავლენის ჩვენებისა თუ წარმოჩენის მცდელობაა. უშიშროების საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო. ნებისმიერ დროს შეუძლია, დაუძახოს მინისტრებს, გაიაროს მათთან კონსულტაციები, რომ ნებისმიერ თემაზე პოზიცია ჩამოაყალიბოს და ქვეყნის პერსპექტივები წარმოაჩინოს, – აღნიშნა ვოლსკიმ.

დეპუტატი თვლის, რომ არ შეიძლება, პრეზიდენტი გამოდიოდეს და ამბობდეს, საარჩევნო თემასთან დაკავშირებით საერთო-სახალხო და პარტიების კონსენსუსი შეიქმნაო, როდესაც კოალიცია არ მონაწილეობდა ამ კონსენსუსში.

– არ შეიძლება, პრეზიდენტს ჰქონდეს ეროვნული ბანკიდან ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფისადმი უსაფუძვლო, არასწორი პოზიცია. მან უნდა თქვას, რომ ამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და ისე შევთანხმდეთ, ქვეყანამ ნაკლები დანაკარგებით გაიაროსო, ის კი ერთ პოზიციაზე დგას, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.



## „ნაციონალები ერთმანეთს გიჟებს ეძახიან, მაგრამ მაინც ერთი გუნდია"

დეპუტატი ამბობს, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს შემრიგებელი, დამბალანსებელი. მას აქვს სერიოზული ფუნქცია – წარმოადგინოს ქვეყანა საზღვარგარეთ. პრეზიდენტს არ აქვს ფუნქცია, რომ მაინცდამაინც იჭიდაოს, თვითონ წავიდეს თუ არ წავიდეს.

– პრეზიდენტი აღმასრულებელ სტრუქტურას არ ხელმძღვანელობს და არ ახდენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციას. უშიშროების საბჭო გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუტი არ არის, – აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

***– ინფორმირება საჭირო არ არის?***

– პრეზიდენტს ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება აქვს. გავიხსენოთ მისი ვიზიტი უელსში ნატოს სამიტზე. მშვენიერი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, პრემიერთან გაიარა კონსულტაციები, დეტალური ინფორმაცია მიიღო და ყველა საკითხზე მშვენიერი შედეგი აჩვენა. ეს არის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგები.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გოგი ქავთარაძე: „ხელისუფლებით კმაყოფილი არ ვარ“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების" წევრი, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი, მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ის რიგითი ჯარისკაცია და, თუ ქვეყანას დასჭირდება, კვლავ მზად არის, კენჭი იყაროს და 2016 წლის მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდეს.**

***— ბატონო გოგი, რას იტყვით ახალ საარჩევნო სიასთან დაკავშირებით? ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ სპორტსმენებსა და ხელოვანებს, რომლებიც ამ მოწვევის პარლამენტში უხვად არიან წარმოდგენილი, ემშვიდობება. ასეა?***

— გავრცელებული ხმები ამ სიებთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. ეს არის მხატვრული ჭორი. ეს არ შეესაბამება რეალობას, ვიღაცები თითქოს უკვე დასახელდნენ, ვიღაცები თითქოს უკვე აღარ არიან სიაში. ეს არა მგონია, რომ რეალობა იყოს. ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია.

***— ერთ წელიწადში არჩევნებია.***

— მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც ნაადრევია ამაზე საუბარი. რაც შეეხება მსახიობებსა და ხელოვანებს, სპორტსმენებს, ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მომავალ, ახალ პარლამენტში ვიღაცები, ალბათ, იქნებიან და ვიღაცები არ იქნებიან. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

***— კმაყოფილი ხართ ხელისუფლების მუშაობით?***

— არა, არავინ არის კმაყოფილი და მათ შორის არც მე. ხალხი ჩვენგან ბევრს მოელოდა. დიდი იყო იმედები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ის ელემენტარული მოთხოვნილებები ვერ დავაკმაყოფილეთ. მიუხედავად ამისა, მე მაინც ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ მომავალში გაცილებით უკეთესად იქნება საქმე ჩვენს ქვეყანაში.

***— როგორი უნდა იყოს მომავალი პარლამენტი?***

— მომავალი პარლამენტი ბევრად უკეთესი უნდა იყოს. მე ვფიქრობ, რომ ახალი პარლამენტი გაითვალისწინებს იმ შეცდომებს, რომლებიც იყო. უფრო უკეთესი, უფრო ქმედითი და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ახალი მოწვევის პარლამენტი ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის.

***— თქვენ ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი ხართ, კიდევ აპირებთ კენჭისყრას?***

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. მე როდესაც ბიძინა ივანიშვილმა შემომთავაზა, 2012 წლის არჩევნებში ზესტაფონში კენჭი მეყარა, კეკლუცობა არ დამიწყია. მაშინ ვუთხარი ბატონ ბიძინას, რომ მე ვარ ჯარისკაცი. თუ დამიძახებენ, კეკლუცობას არ დავიწყებ და დავთანხმდები, მაგრამ არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება.

***— „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნებში სერიოზული ბრძოლა მოუწევს?***

— დიახ, ეს რეალობაა, სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

***— მთავარი კონკურენტი ვინ იქნება?***

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ სერიოზული ბრძოლა რომ მოუწევს, ეს ნამდვილად ასე იქნება.

***— რატომ არის ხალხი უკმაყოფილო, სად დაუშვა მთავარი შეცდომა ხელისუფლებამ?***

— მე მგონი, სამართლიანობის აღდგენის საკითხი ვერ იქნა ბოლომდე მოგვარებული, ეს პრობლემა ბოლომდე ვერ გადაიჭრა. ისე არ გამოვიდა, როგორც ჩვენ გვინდოდა.

***— ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში?***

— გამომდინარე იქიდან, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომ ის არ დაბრუნდება პოლიტიკაში, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყანა არ დაიქცა, მეც არ მგონია, რომ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში დაბრუნდეს. მე მგონი, არაერთხელ უპასუხა ყოფილმა პრემიერმა ამ კითხვას.

***— უკეთესი იქნება, რომ დაბრუნდეს, მაგალითად, პრემიერის რანგში ან საარჩევნო სიის პირველ ნომრად?***




## „მომავალი პარლამენტი ბევრად უკეთესი უნდა იყოს“

— ამ კითხვაზე უდავოდ დადებითად გიპასუხებთ. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნება, რომ დაბრუნდეს.

***— დღეს ეს კითხვა აქტუალური არ არის?***

— როგორ გითხრათ, შეიძლება, ძალიან აქტუალურიც არის, მაგრამ არ მგონია, რომ ბატონ ბიძინას უნდოდეს პოლიტიკაში დაბრუნება, თუმცა, ცხადია, ის არ გაურბის პასუხისმგებლობას და იქვე განაცხადა, როდესაც ეს კითხვა დაუსვეს, რომ, თუ აუცილებლობა დადგება, ის დაბრუნდება.

***— ბატონო გოგი, მე თქვენი პოზიცია მაინტერესებს — უკეთესი იქნება, რომ დაბრუნდეს?***

— მე ვთვლი, რომ უკეთესი იქნება, დაბრუნდეს, ეს ძალიან დადებითი მუხტი იქნება არა მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლებისთვის, არამედ ხალხისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვისაც, ასე თუ ისე, იმედები გაუცრუვდა, ვისი მოლოდინი ვერ გავამართლეთ.

# კახა კალაძე: „ბიძინა ივანიშვილი შეიძლება პოლიტიკაში ჩაერთოს“

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, გასაკვირი არაფერი იქნება იმაში, თუკი ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილებას მიიღებს.

შესაბამისი კომენტარი კალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში მმართველი გუნდის წევრის, ზვიად ძიძიგურის იმ განცხადებაზე კომენტირებისას გააკეთა, რომლის მიხედვითაც, კოალიცია „ქართული ოცნება“ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას ისევ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით მიიღებს. კახი კალაძე:

— რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს — თქვენ იცით, რომ „ქართული ოცნება“ ამ ადამიანის მიერ არის დაფუძნებული. შესაბამისად, იმაში, რომ მან მიიღოს გადაწყვეტილება, ჩაერთოს, დაბრუნდეს პოლიტიკაში, ვფიქრობ, გასაკვირი არაფერი არ არის,



თუმცა მე ბატონი ბიძინას მაგივრად გამიჭირდება რაიმე პასუხი გავცე ამ კონკრეტულ კითხვას.

**ინტერპრესნიუსი**

# თინა ხიდაშელი: „2016 წელს უნდა იყოს სპეცუზნებისგან თავისუფალი საარჩევნო პროცესი“



თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი არჩევნებზე სპეცუზნების გაუქმების მომხრეა. მისი თქმით, საქართველომ საბოლოოდ უნდა თქვას უარი სპეცუზნებზე.

მისი თქმით, ამ პროცესში რაციონალურად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად საერთო პოზიციაზე შეჯერდებიან.

**თინა ხიდაშელი:**

— საქართველომ უარი უნდა თქვას სპეცუზნებზე, 2016 წელს უნდა იყოს სპეცუზნებისგან თავისუფალი საარჩევნო პროცესი. რაც შეეხება საარჩევნო რეფორმას, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულმა ძალებმა უკვე მიიღეს დავალება, რომ უწყებამ რეფორმის საკუთარი ვარიანტი წარადგინოს. ცვლილებები მზადდება. მასზე ჩემი მოადგილე ბესო ლოლაძე მუშაობს. რამდენადაც ვიცი, მან სამინისტროს პოზიცია ჯარის მონაწილეობასთან დაკავშირებით მომავალ კვირას უნდა წარადგინოს.

**ნიუსპრესი**

# მურმან დუმბაძე ხელისუფლებას პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებს

ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატ მურმან დუმბაძეს მოქალაქეთა მიღებაზე პატრულის გამოძახება დასჭირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დუმბაძემ განუცხადა, აღნიშნულის მიზეზი მოქალაქე ფრიდონ კირკიტაძე გახდა, რომელმაც 10 ათასი დოლარი მოსთხოვა.

მისივე განმარტებით, შემთხვევა ბათუმში, მაჟორიტარის ბიუროში მოხდა, სადაც ორი მოქალაქე მივიდა და კერძო საუბრისთვის ეზოში გასვლა სთხოვა.

როგორც მურმან დუმბაძე აღნიშნავს, ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა საკითხის გასარკვევად შესაბამის სამსახურებს მიმართავს.

დუმბაძე აცხადებს, რომ მისთვის ფულის მოთხოვნის ფაქტი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაციაა.

მურმან დუმბაძე:

— მაჟორიტარის ბიუროში ჩვეულებრივ მოქალაქეთა მიღება მქონდა.

ჟურნალისტმა ინტერვიუც ჩამომართვა რაღაც საკითხზე, შემდეგ კი ორი ახალგაზრდა შემოვიდა და მითხა, თქვენთან კერძო საუბარი გვსურს და თუ შეიძლება გარეთ გამობრძანდითო.

ვუთხარი, რომ სახელმწიფოებრივი საქმეები კაბინეტში წყდებოდა, მაგრამ ფრიდონ კირკიტაძემ მითხრა, რომ შეიძლებოდა კაბინეტში ჩამწერი ყოფილიყო ჩართული და ამიტომ გარეთ უნდოდა საუბარი. ორივე ახალგაზრდა გავუშვი ბიუროს ოთახიდან, რის შემდეგაც ერთ-ერთმა დაიწყო საუბარი, რომ ბანკმა ბინა ჩამომართვა, 20 ათასი დოლარი ვალი ჰქონდა, „ნაციონალებმა“ სამსახურიდან გამოუშვეს და ასე შემდეგ.



მე ვკითხე, როგორ შემეძლო დავხმარებოდი, მაგრამ მან მითხრა, რომ ეს ჩავლილი საქმეა და მე ვერაფერს ვუშველიდი. შემდეგ მითხრა, ახალ საქმეზე ვარ მოსულიო.

ჩაქვიდან რომ გამოგყევით და 10 ათასი დოლარი მოგეცით ის უნდა დამიბრუნოთო. ვკითხე რა ფულზე საუბრობდა, კითხვითვე მომმართა, რატომ არ მახსოვდა 10 ათასი დოლარი რომ მომცა.

მე ლაპარაკი შევწყვიტე და შენობაში მყოფ დაცვის პოლიციას გამოვუძახე. დაცვის პოლიციამ ეს ბიჭი დაიჭირა და ახლა უნდა გავარკვიო რატომ მოვიდა, რა მიზნები ამოძრავებდა და რა ბიოგრაფიის კაცია.

ვფიქრობ, რომ ეს არის შანტაჟი და პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მათ ვაფრთხილებ, რომ ჩემთან ეს არ გაუვათ.

რა თქმა უნდა, უშიშროების სამსახურების გარეშე აქ ვერ მოვიდოდა. უნდა გავარკვიო ვინ აწყობს ამ შანტაჟს.

მისივე განმარტებით, ფრიდონ კირკიტაძეს სამი თვის წინ აჭარის უმაღლეს საბჭოში შეხვდა, შემდეგ კი მასთან ურთიერთობა არ ჰქონია.

**ინტერპრესნიუსი**




# ე.წ. მესაზღვრეებმა გორის რაიონიდან კიდევ ერთი პირი გაიტაცეს

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ კოშკას განაპირას ე.წ. მესაზღვრეებმა ერთი ადგილობრივი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, დავით კუდუხაშვილი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლის განაპირას შეშას აგროვებდა, რა დროსაც ე.წ. მესაზღვრეები გამოჩნდნენ.

თანასოფლელების თქმით, კუდუხაშვილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ გადასულა.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, დაკავებული ცხინვალის მილიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორშია გადაყვანილი. ჯერჯერობით დაკავებულის ოჯახს ე.წ. საჯარიმო თანხის მოთხოვნით არავინ დაკავშირებია.

გასული თვის განმავლობაში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებებულთა რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვოლსკი: „მარგველაშვილმა სპეკულაციას თავი უნდა დაანებოს“

დასაწყისი მე-„ გვერდზე

მისი ფუნქცია. როცა ისეთი გადაწყვეტილებებია მისაღები, რომელთაც სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან რეალიზაცია სჭირდება, ნუ ქმნის საზოგადოებაში შთაბეჭდილებას, რომ მაინცდამაინც დაპირისპირებაა ამ ორ ძალიან მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტს შორის.

ვოლსკი ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა, აღმასრულებელი სტრუქტურა.

— უსაფრთხოების საბჭოს სხდომა ჩატარდა, დავალებები გაიცა. ახლა ხდება ამ დავალებების გადამოწმება და ყოველდღიური კონტროლი. უშიშროების საბჭოს სხდომაზე მინისტრები უნდა მივიდნენ და ისაუბრონ. ნუ ქმნით აჟიოტაჟს, პრემიერი უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ მიდის და დიდი პრობლემააო, — განაცხადა დეპუტატმა.

***— ანუ პრობლემა არ არის?***

— არ არის. მინისტრი პრემიერისგან განსხვავებულ პოზიციას დააფიქსირებს? არის საკითხები, რომლებზეც პრეზიდენტს სჭირდება კონსულტაცია. უშიშროების საბჭოს კიდევ უფრო დიდი ამოცანა აქვს — მან სამხედრო დოქტრინაზე უნდა იმუშაოს. უშიშროების საბჭო ყოველ კვირას იღებს დეტალურ ანალიზს, რა ხდება მსოფლიოში, სად რა არის აქტუალური, რა საკითხებს აქცევს პრეზიდენტი ყურადღებას. რა საკითხებზე უნდა იმსჯელოს პრეზიდენტმა სტუმართან თუ სტუმრად ჩასულმა. ამას ჩვენ ვათანხმებთ, მუშაობა მიდის. არავის ეგონოს, რომ პრეზიდენტს ინფორმაციას არ აწვდიან, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისი თქმით, პრეზიდენტს ხალხი უსმენს და ანგარიშს უწევს.

— რატომ არის პრეზიდენტის განცხადებები კიდევ ერთი ბანაკისა და დაპირისპირების კიდევ ერთი ცენტრის შექმნისკენ მიმართული? ქვეყანას უამრავი გამოწვევა აქვს და ასე ქმედება არ შეიძლება, — აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

* * *

გია ვოლსკიმ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ლიდერად დაბრუნების ალბათობა არ არსებობს.

— პირდაპირ გეუბნებით, არ არის მისი პოლიტიკური გუნდის სათავეში მოსვლის ალბათობა. მე ასე ვიცი და ასე მჯერა. მხარდაჭერა და თანადგომა იქნება ისეთი, როგორიც მან თავად განაცხადა, — აღნიშნა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ამის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილი საარჩევნოდ კოალიციას მხარს კიდევ უფრო მეტად დაუჭერს.

— მე რაც ვიცი, ეს ის არის, რაც თავად ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, მან კი თქვა, რომ კიდევ უფრო მეტად დაუჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“. ეს არ ნიშნავს მის პოლიტიკურ ამბიციას, — განმარტა ვოლსკიმ.

# კარლო კოპალიანი: „ირაკლი ალასანია ამბიციებმა დაღუპა“

## „ნაციონალების ჭკუაზე არ დავდივართ“

შორენა მარსაგიშვილი





**უშველის თუ არა „ქართულ ოცნებას" ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, რისი იმედი აქვს მმართველ გუნდს არჩევნებზე, რამ შეიყვანა შეცდომაში ირაკლი ალასანია? – ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**

**კარლო კოპალიანი:**

– იქიდან მოყოლებული, რაც ბიძინა ივანიშვილმა პრემიერის პოსტი დატოვა, გამუდმებით მიდის საუბრები, რომ ის პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს. ამ თემაზე არაერთი გამოკითხვა და ინტერაქტივი ჩატარდა, მოსახლეობის უმრავლესობა მის პოლიტიკაში დაბრუნებას უჭერდა მხარს.

პირადად მე და საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნებას ორივე ხელით მივესალმებით. მას კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება უნდა და გააკეთებს კიდეც.

***– თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ თუ ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა და წინასაარჩევნო ხრიკი იქნება.***

– დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა, ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა ივანიშვილი თავად გააკეთებს განცხადებას. პირადად მე მოხარული ვიქნები, თუ ის იქნება „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი. „ქართული ოცნების“ ლიდერი ისედაც არის.

***– უშველის „ქართულ ოცნებას“ მისი პირველნომრობა? თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ისე ცუდად გაქვთ საქმე, რომ ივანიშვილი კი არა, მამალმერთიც ვერ გიშველით არჩევნებზე.***

– ჩვენს ოპონენტებზე რომ საუბრობთ, ნაციონალები თუ გყავთ მხედველობაში, მაშინ ჩემგან გადაეცით, რომ ღმერთის ხსენებას შეეშვან და იმ უბედურ მდგომარეობას მიხედონ, რაშიც თავად არიან.

***– რატომ გგონიათ, რომ უბედურ დღეში არიან?***

– ამაზე უბედური დღე რაღად გინდათ, რიგითი ნაციონალიდან დაწყებული, მაგათი ნაგიჟარი სააკაშვილით დამთავრებული, გარეთ თავისუფლად ვერ გამოსულან. ტერმინ „ნაგიჟარის“ გამო მე არ მისაყვედუროთ, ასე ნაპრეზიდენტალი თავისმა თანაგუნდელმა გაბაშვილმა მოიხსენია.

რაც შეგვეხება ჩვენ, მათ ჯინაზე და ხალხის გასახარად მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგად გვაქვს საქმე და ეს მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებზეც გამოჩნდება.

***– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ არჩევნებზე დადებით შედეგს მიიღებთ, ივანიშვილის იმედი გაქვთ?***

– ივანიშვილის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მას ისეთი რამე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, მან ისეთი ჭირი მოგვაშორა, რომ ამას არავინ დაივიწყებს.

ამ ფაქტორის გარდა, ჩვენ სასარგებლოდ მეტყველებს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სოციალური პრობლემების გადაჭრაზე არის ორიენტირებული. ამას რომ ხედავენ, გადარეულები არიან ნაციონალები და ათას სიბინძურეს იგონებენ და სერიოზულ შეცდომებს უშვებენ. განსაკუთრებით გამწარებული არიან იმის გამო, რომ პენსია იზრდება. ამაზე მართლა მაგრად ნერვიულობენ. არაფერია, ინერვიულონ, რაც მეტს ინერვიულებენ, მით მეტ შეცდომას დაუშვებენ.

***– ისინი კი ამბობენ, რომ მათი ზეწოლის შედეგად გახდით იძულებული, პენსია გაგეზარდათ.***

– რომელ ზეწოლაზე საუბრობთ? მაგათ ჭკუაზე არ დავდივართ. ეგ უსირცხვილოები საერთოდ როგორ ლაპარაკობენ პენსიის მომატებაზე. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში რატომ არ შეასრულეს დანაპირები და რატომ არ გაზარდეს პენსია? ამას გასცენ პასუხი და მერე გამოიშვირონ ჩვენკენ თითი.

***– ნაციონალებმა პენსია რამდენჯერმე გაზარდეს.***

– დაპირება მაინც არ შეასრულეს, ისინი ხალხს დაჰპირდნენ, რომ პენსია 100 დოლარის ოდენობის იქნებოდა. პენსიების ზრდაზე იცით, როდის დაიწყეს საუბარი? ბიძინა ივანიშვილი რომ გამოჩნდა პოლიტიკაში. მაშინ მოუმატეს 24 ლარი პენსიას და ისიც არ მისცეს, დაზღვევაში თუ რაღაც ჯანდაბაში დაუკავეს.

სხვა ჩემი კოლეგებისგან განსხვავებით, მაგათ ბრალდებებს და განცხადებებს საერთოდ ყურადღებას არ ვაქცევ. რაღაც ერთი წელი უნდა ავიტანოთ და დამთავრდებიან. არჩევნებზე ხალხი მაგათ ხმას აღარ მისცემს და წარსულს ჩაბარდებიან. ჩვენ კი ისევ გვენდობა ხალხი.

***– კი ხართ ოპტიმისტურად განწყობილი, მაგრამ შეუსრულებელ დაპირებებს რას უშვრებით? რატომ გგონიათ, რომ უკმაყოფილო ამომრჩეველი მხარს დაგიჭერთ?***

– ერთი დამისახელეთ, რომელი დაპირება არ შევასრულეთ? ერთადერთი, სამართლიანობა ვერ აღვადგინეთ.

***– სხვა დაპირებები შეასრულეთ? გაანახევრეთ ტარიფები, დააკელით საწვავს 1 ლარი?***

– კარგი იქნებოდა, ყველა დაპირება ბოლომდე შეგვესრულებინა, მაგრამ ბევრ რამეში ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესებმა შეგვიშალა ხელი. არც სამართლიანობის აღდგენის კუთხით არის ცუდად საქმე.

***– აბა, ვერ შევასრულეთ ეს დაპირებაო.***

– როგორ ვერ შევასრულეთ, ყოფილი პრემიერი, ყოფილი მერი და ყოფილი თავდაცვის მინისტრი რომ ციხეში სხედან, ეს არაფერია? მაგათ კიდევ ბევრი რომ მიუჯდება მატროსოვზე, როგორ შეიძლება ამას სამართლიანობის აღდგენა არ უწოდო.

***– ნაციონალები ამაზე ამბობენ, პოლიტიკური ოპონენტების დევნააო.***

– არ გაიშვა მაგათი დევნა, რომელი ოპონენტები ეგენი არიან, ეგენი სექტა და ჯანდაბები არიან. პოლიტიკური ოპონენტების დევნა მაგათ დროს იყო, ახლა მხოლოდ იმ პირების გასამართლება ხდება, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

სამწუხაროდ, ვიღაცებს არ სურთ დაინახონ, რომ სამართლიანობის აღდგენაც დაწყებულია. ალბათ ეგონათ, რომ ნაციონალების მეთოდებით დავერეოდით ამ ხალხს, გამოვჭრიდით კისრებს და ჩამოვკიდებდით ხეებზე. ჩვენგან იმასაც ელოდნენ, რომ ხალხს მასობრივად გამოვყრიდით სამსახურებიდან, მაგრამ არც ეს გავაკეთეთ.

კრიმინალ ნაციონალებს ბევრი ადამიანი ჰყავთ გამწარებული და კარგად მესმის მათი, რომ ეჩქარებათ მათთვის სამაგიეროს გადახდა, მაგრამ სასამართლო თუ სხვანაირად გადაწყვეტს, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? წინა ხელისუფლების მსგავსად, სასამართლოს საქმიანობაში არ ჩავერევით. დამიჯერეთ, მართლა სერიოზული დემოკრატია შენდება ქვეყანაში.

ამ დემოკრატიის წყალობით, ისინი პოლიტიკური არენიდან საერთოდ გაქრებიან თავიანთ გარყვნილ ლიდერთან ერთად.

***– რომელსაც ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა?***

– აბა, რა უნდა ექნა? ამ ადამიანმა საქართველო უკრაინაზე გაცვალა. ვინც საქართველოს სხვა ქვეყანაზე გაცვლის, საქართველოს მოქალაქეობის ღირსი არაა. იყოს ახლა ოდესის გუბერნატორი და იბაქიბუქოს, საქართველოში ხელისუფლებას შევცვლიო. თავის მომხრეებსაც აჯერებდნენ, მაგრამ არ გამოუვათ, როდის იყო, გასაქრობად განწირული ძალა ხელისუფლებას ცვლიდა.

***– ნაციონალების გარდა, ირაკლი ალასანიაც ამბობს, რომ შეუძლია ამ ხელისუფლების შეცვლა. ამაზე რას იტყვით?***

– ის ამაზე ოცნებობს. ამ ახალგაზრდას დიდი ამბიციები აქვს. ირაკლისთან პირადად მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და, ყველაფრის მიუხედავად, ვიტყვი, რომ კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ ბევრი რამე შეეშალა. შეცდომები ამბიციებმა დააშვებინა. ახლაც ეს ამბიცია აშვებინებს შეცდომებს. ხელისუფლებას ვერ შეცვლიან, მაგრამ პარლამენტში მოხვდებიან, რასაც მივესალმები. ნაციონალებისგან განსხვავებით, თავისუფალი დემოკრატები ნამდვილი ოპოზიციაა.

---



## თამარ ბერუჩაშვილი დიდ ბრიტანეთში ელჩად დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა 4 დეკემბერს ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად თამარ ბერუჩაშვილი დაინიშნა.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში თამარ ბერუჩაშვილი მიიღო.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობის პერსპექტივა განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ახალდანიშნულ ელჩს მის შემდგომ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

თამარ ბერუჩაშვილი ახალ თანამდებობაზე მუშაობას 2016 წლის 1-ელი მარტიდან შეუდგება.

**ნიუსპრესი**

---

## ეკა ბესელია: „როგორ შეიძლება ნაცმოძრაობამ რაიმე ღირებული შექმნას“



უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ეკა ბესელიას შეფასებით, გოკა გაბაშვილისა და მის ძმის, ლადო გაბაშვილის აუდიოჩანაწერით ნაციონალური მოძრაობის რეალური სახე გამოჩნდა.

როგორც ბესელია აცხადებს, დიდი ხანია ცნობილია, „ნაციონალურ მოძრობაში“ არსებული დაპირისპირების შესახებ და ის, რაზეც გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერშია საუბარი, ახალი არ არის.

– ვფიქრობ, ვინც ამ რეალობას ხედავს, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით ხდება – თუ როგორი ფასეულობებით არიან ეს ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებულები, როგორ შეიძლება ამ პოლიტიკურმა ძალამ რაიმე ღირებული შექმნას ან ოპოზიციაში, ან ხელისუფლებაში ყოფნისას, როდესაც ურთიერთობების ასეთი სტანდარტი აქვთ. ის, რაც მათ შიგნით ხდება, დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ეს არის პროცესი, რაც ამ დანაშაულებრივ შიდა დაჯგუფებებს ერთმანეთთან მუდმივ დუელში ამყოფებს. ეს არის მათი რეალური სახე და ეს ხალხი პრობლემას უქმნის არა მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ პარტიას, რაც ნაკლებად საინტერესოა, არამედ ქვეყანას უქმნიან საფრთხეს, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსი**

---

## იან კელი: „ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება“



აშშ-ის ელჩი იან კელი ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის შედეგებს კიდევ ერთხელ ეხმაურება და დარწმუნებულია, რომ ნატოს წევრი საქართველოც გახდება. იგი დადებითად აფასებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მონტენეგროს მიწვევას.

– ჩემთვის სასიხარულოა, რომ ნატოს მინისტერიალზე მონტენეგრომ მიიღო მიწვევა ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში. საქართველოსთვის ეს ნიშნავს იმას, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა გრძელდება. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, – განაცხადა იან კელიმ.

**ნიუსპრესი**

---

## ერეკლე კოდუა ინტერპოლმა ძებნიდან მოხსნა



შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან ამოიღო.

ამის შესახებ მისი ყოფილი მეუღლე, ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუქის“ გვერდზე წერს და საკუთარ შვილს ულოცავს.

– ერეკლე კოდუა ინტერპოლმა ძებნიდან მოხსნა. ვულოცავ საბას მამას ამ მაგარ ამბავს, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი.

**ნიუსპრესი**

---

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# მარჯვენასაჭიანები შსს-სთან საპროტესტო აქციას გამართავენ



მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას ავტოიმპორტიორები აქციებით გააპროტესტებენ.

კომპანიები, რომლებიც იაპონიიდან ავტომობილების იმპორტს ახორციელებენ, კვირას, 6 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მშვიდობიან მსვლელობას მოაწყობენ.

როგორც კომპანია ჯიმექსის მარკეტინგის მენეჯერი ნინო აბაშიძე „კომერსანტთან" აცხადებს, აქციაში მონაწილეობას თითქმის ყველა მსხვილი იმპორტიორი კომპანია გეგმავს, რომლებსაც მანქანები იაპონიიდან ჩამოჰყავთ.

ნინო აბაშიძის შეფასებით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვით ბიზნესი რთულ ვითარებაში ჩავარდება, ამ კომპანიებში დასაქმებული ადამიანები კი შემოსავლის გარეშე დარჩებიან.

– არსებობს 5-6 კომპანია, მაგრამ, მათ ჰყავთ თანამშრომლები, თითო მენეჯერს 50 დილერი მაინც ჰყავს მიმაგრებული. აკრძალვის შემთხვევაში ისინი რჩებიან შემოსავლის გარეშე. მაშინ მისცენ ამ ადამიანებს სხვაგან მუშაობის საშუალება, – აცხადებს ნინო აბაშიძე.

კომპანიის წარმომადგენლის თქმით, რეალურად ხელისუფლებას არ აქვს არგუმენტი, რომლითაც მარჯვენასაჭიანების რეგისტრაციის აკრძალვას გაამართლებს.

– 21-ე საუკუნეში ადამიანს რეალურად ართმევენ არჩევანის უფლებას. ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანი უფლება. ამბობენ, რომ იაპონური ავტომობილები საშიშია და საფრთხეს ქმნის, მაშინ სტატისტიკა წარმოადგინონ. ამ ლოგიკით, ბმვ-ს მარკის ავტომობილები ყველაზე სახიფათოა, მაშინ ავკრძალოთ ისინიც, – აცხადებს ნინო აბაშიძე.

მისივე შეფასებით, ამერიკული და იაპონური ავტომანქანები რომ შევადაროთ, იაპონიიდან უფრო ხარისხიანი მანქანები ჩამოდის, ვიდრე ამერიკიდან.

– ამერიკაში მანქანას მინიმუმ 200-300 ათასი გარბენი აქვს, იაპონურ მანქანებს კი – მაქსიმუმ 100 ათასი. იაპონიაში 100.000-ს რომ გაივლის მანქანა, მას უტარდება ტექდათვალიერება, სადაც უცვლიან ამორტიზებულ მასალებს და ხდება მანქანის განახლება. პრაქტიკულად ახალი მანქანები იყიდება, – აცხადებს ნინო აბაშიძე.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას არც სხვა ავტოიმპორტიორები არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ ეს რეგულაცია ბაზარზე სიტუაციას გააუარესებს.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# კალაძე: „ზამთარში შუქის გრაფიკი არ იქნება"



ზამთარში არანაირი გრაფიკი არ იქნება, ელექტროენერგიის მიწოდება ჩვეულებრივად უწყვეტ, 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება.

ამის შესახებ ვიცეპრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რა ვითარება იქნება ზამთარში ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით.

როგორც კალაძემ აღნიშნა, კომპანიებმა ყველა დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაო ჩაატარეს.

– არანაირი პრობლემა არ გვაქვს ზამთართან დაკავშირებით. კომპანიებმა ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო, რომლებიც მათ დაგეგმილი ჰქონდათ, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ჩაატარეს. გარკვეული ადამიანების დაჯგუფება ცდილობდა, რომ ქაოსი შემოეტანა, თითქოს ელექტროენერგიის მიწოდება გრაფიკით იქნებოდა ქვეყანაში. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო და მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მივაწოდო, რომ ეს არის სიცრუე, – განაცხადა კალაძემ.

# მსუბუქი ავტომობილების შესყიდვები 58%-ით შემცირდა



საქართველოს ეროვნული ბანკის მიმოხილვის თანახმად, საქართველოში იმპორტი ყველა მიმართულებიდან შემცირებულია.

კლების განსაკუთრებით მაღალი ტემპები დაფიქსირდა უკრაინისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში (34.2% და 27.4% შესაბამისად). იმპორტი მაღალი ტემპებით (20-50%) შემცირდა იტალიიდან, რუმინეთიდან, იაპონიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან და ბელგიიდან.

იმპორტის საერთო კლების ფონზე აღსანიშნავია ზრდა რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში. კერძოდ, იმპორტი გაიზარდა ინდოეთიდან (ჰიდროტურბინები), თურქმენეთიდან (ნედლი ნავთობი) და პორტუგალიიდან (სპილენძის მადნები და კონცენტრატები). წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში იმპორტის დივერსიფიკაცია ქვეყნების მიხედვით მცირედით გაუარესდა.

2015 წლის ოქტომბერში იმპორტირებული საქონლის 8.8% მოდიოდა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, რომელთა შესყიდვები წლიურად კვლავ შემცირდა და კლებამ 30.2% შეადგინა. აღნიშნული სრულად განაპირობა ფასის მნიშვნელოვანმა შემცირებამ, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია.

მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების კლების ტემპმა იმატა და საანგარიშო თვეში 58.3% შეადგინა.

მცირედით შემცირებულია ბუნებრივი აირის იმპორტი. ასევე შემცირდა სამკურნალო საშუალებების იმპორტი, ხოლო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვებმა, რომელთა უდიდესი ნაწილი რეექსპორტზე გადის, საპირისპიროდ, მოიმატა.

რაც შეეხება იმპორტის სხვა კატეგორიებს, მოიკლო სატელეფონო და სატელევიზიო აპარატურის, გამომთვლელი მანქანების, შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, ნახშირბადიანი ფოლადის ნაწარმის, მაცივრების, ავეჯისა და თამბაქოს ნაწარმის შესყიდვებმა.

ზრდა დაფიქსირდა რამდენიმე კატეგორიის შემთხვევაში. კერძოდ, მოიმატა ჰიდროტურბინების, საჰაერო ტუმბოების, ტურბო-რეაქტიული ძრავების, ნავთობის კოქსის და სარეცხსაწმენდი საშუალებების იმპორტზე გაწეულმა დანახარჯებმა.

კვების პროდუქტების იმპორტი წლიურად დაახლოებით 16.2 %-ით არის შემცირებული.

ოქტომბრის თვეში იმპორტი კატეგორიების მიხედვით, წინა წელთან შედარებით, მეტად დივერსიფიცირებულია.

# „ჯიბლიბო ამოგივათ თვალზე ან ცხვირი გაგეზრდებათ"





## ლორთქიფანიძე-მეჭიაური ნაცმოძრაობის წინააღმდეგ

პარლამენტში გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე მსჯელობდნენ. განხილვისას საკუთარი შენიშვნები წარმოადგინა ნაციონალურმა მოძრაობამ. უმცირესობა პენსიის 50 ლარით გაზრდას ითხოვს.

– ჰაერზე რომ ვლაპარაკობდეთ, ვიტყოდით, რომ 300 ლარიანი პენსია გააკეთეთო. კონკრეტულად არის დათვლილი ის, რაც მოემატა ამ ხელისუფლებას ხელფასებსა და დანამატებზე, ეს უნდა გამოიყენოთ სწორედ და გამოიყენოთ პენსიის ზრდისთვის. ეს არის სიმართლე, – განაცხადა ენმ-ის წევრმა გიორგი ბარამიძემ.

დეპუტატის განცხადებას დავით ლორთქიფანიძე გამოეხმაურა და ნაციონალური მოძრაობა ტყუილში დაადანაშაულა.

– ბავშვებს ეუბნებოდნენ პატარაობისას, რომ ტყუილს თუ იტყვი, ჯიბლიბო გამოგივა თვალზეო და გაგიჩნდებათ ეს ჯიბლიბოები და ველარ გამოიხედებით საერთოდ, – განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

აღნიშნულის საპასუხოდ კომენტარი მეჭიაურმაც გააკეთა – „ან ცხვირი გაგეზრდებათ...".

**ნიუსპოსტი**

# ზურაბ ტყემალაძე: „პენსია 80%-ით იზრდება"



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, 450 მილიონი ლარით ხელფასების, პენსიების და დანამატების ზრდა ბიუჯეტში არ ხდება.

როგორც ტყემალაძემ რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, სადაც ბიუჯეტის პროექტის განხილვა მიმდინარეობს, ეს თავად უმცირესობამაც „ძალიან კარგად იცის".

– 450 მილიონი ლარით ხელფასების, პენსიების, დანამატების ზრდა ბიუჯეტში არ ხდება და ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. ერქვა სუბსიდიები, იყო დაფარული მუხლი, რომელიც გამჭვირვალე გახდა, აისახა ბიუჯეტში და დაერქვა ის, რაც ჰქვია და მთლიანობაში ეს არის ის 450 მილიონი ლარი. მე ამას საზოგადოებისთვის ვლაპარაკობ, უმცირესობამ კი ჩემზე კარგად იცის, – განაცხადა ტყემალაძემ.

მანვე საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ბარამიძეს მიმართა და შეახსენა, თუ როგორ იზრდებოდა პენსია 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ.

– ხშირად ხდება ხოლმე სიცრუის ტირაჟირება – „ჩვენ მოვითხოვეთ პენსიის გაზრდაო". მე ძალიან კარგად ვიცი, ბატონო გიორგი, თქვენი მოღვაწეობა მმართველ პარტიებში, ჯერ „მოქალაქეთა კავშირში", შემდეგ კი „ნაციონალურ მოძრაობაში". როგორ იზრდებოდა პენსიები ამ პერიოდში: 9-ლარიანი პენსია გახდა 17, შემდეგ 37, 40 და ასე ძლივს ავიდა და 2012 წელს გაზარდეთ 100 ლარამდე. ჩვენ 2012 წლის შემდეგ, მეოთხე წელიწადს უკვე 80%-ით ვზრდით. თუმცა, ჩვენ არასდროს ვიძახით, რომ ეს პენსია საკმარისია. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტია საჭირო. ამასთან, არის დახმარებები სოციალურად დაუცველ პირთათვის, პენსიონერებისთვის, – განაცხადა ტყემალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ბარაქ ობამამ საშობაო ნაძვის ხის ანთებაში მიიღო მონაწილეობა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ოჯახთან ერთად, თეთრი სახლის წინ საშობაო ნაძვის ხის ანთებაში მიიღო მონაწილეობა. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი" იტყობინება. საზეიმო ცერემონიას უამრავი ადამიანი დაესწრო.

ბარაქ ობამამ მოქალაქეებს შობის დღესასწაული მიულოცა და ოთხშაბათს, კალიფორნიის შტატში მომხდარი სროლის შედეგად დაღუპულ 17 ადამიანის ხსოვნას პატივი მიაგო.

„მათი დანაკარგი ჩვენი დანაკარგია, რადგან ჩვენ ერთი, ამერიკული ოჯახი ვართ", – აღნიშნა ობამამ.

ნაძვის ხის ანთების ცერემონია 93-ედ ჩატარდა. ცერემონიაში ობამას სიდედრმაც მიიღო მონაწილეობა.

**ინტერპრესნიუსი**

# ხულოს სოფლებში თოვლის საფარი მეტრნახევარს აჭარბებს



ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, დიოკნისის უბანსა და ღორჯომის ხეობაში თოვლის საფარი მეტრნახევარს აჭარბებს, ხოლო დაბა ხულოში 60 სანტიმეტრამდეა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ხულოს გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ განუცხადა, უხვი ნალექის გამო დღეს დილით ავარიულად გაითიშა ელექტროენერგია და მუნიციპალიტეტის 50%-ს შუქი არ მიეწოდება.

მისივე განმარტებით, ცენტრალური მაგისტრალის გაწმენდა დილით დაიწყო და მაღალი გამავლობის ტრანსპორტს მოძრაობის მხრივ პრობლემები არ ექმნება.

– თოვლის საფარი მეტრნახევარია მაღალმთიან სოფლებში, გოდერძის უღელტეხილზე უფრო მეტი, ცენტრში კი 60 სანტიმეტრს აღწევს. გუშინ საღამოს მხოლოდ 8 სოფელს არ მიეწოდებოდა დენი, დღეს დილით კი, ავარიულად გაითიშა კიდევ რამდენიმე სოფელში და საერთო ჯამში, ელექტროენერგია მუნიციპალიტეტის 50%-ს არ მიეწოდება, – განაცხადა ხულოს გამგებელმა.

რაც შეეხება გზებს, ბაუჩაძის ინფორმაციით, ცენტრალურ გზაზე შეფერხება არ არის, სოფლებამდე მისასვლელი გზები კი იწმინდება.

– მაღალი გამავლობის ავტომობილებს გადაადგილების მხრივ პრობლემები არ ექმნებათ. სამაშველო სამსახური გუშინ ორჯერ გამოიძახეს, დღეს კი, გამოძახების შესახებ ჯერ ინფორმაცია არ გვაქვს, – აღნიშნა ბესიკ ბაუჩაძემ.

თოვლის საფარი ერთ მეტრს აღწევს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც.

ამასთან, დიდთოვლობის გამო მაღალმთიანი აჭარის, ხულოს, შუახევის და ქედის 20 სკოლაში მოსწავლეები ვერ გამოცხადდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ფედერიკა მოგერინი: „ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტების გაღრმავებით შეშფოთებულია

– ევროკავშირი შეშფოთებულია დნესტრისპირეთში კონფლიქტის მოგვარების კუთხით ძალიან მცირე პროგრესით, მთიან ყარაბაღში დაძაბულობის ზრდით და საქართველოში კონფლიქტების გაღრმავებით. ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტების გაღრმავებით შეშფოთებულია ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტების გაღრმავებით შეშფოთებულია, – ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში, ფედერიკა მოგერინიმ ბელგრადში მიმდინარე ეუთო-ს მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირი მზად არის, კონფლიქტების მოგვარების პროცესში აქტიური მონაწილეობა გააგრძელოს. ამასთან, მან მოუწოდა პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, „ეუთო-ს პრინციპების დაცვით, კეთილსინდისიერად იმუშაოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად".

**ინტერპრესნიუსი**

მედიცინა



# რა ნიშნები ახასიათებს ჰიპოთირეოზს

ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ფუნქციის დაქვეითებას ჰიპოთირეოზი ეწოდება. ჰიპოთირეოზს საფუძვლად უდევს თირეოიდული ჰორმონის, ძირითადად თიროქსინის, ნაკლებობა. იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რომელ პერიოდში ჩნდება პათოლოგია, არჩევენ თანდაყოლილ და შეძენილ ჰიპოთირეოზს. პათოლოგიური პროცესის კლინიკური გამოვლინება შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

ბავშვთა ასაკში, მოზრდილისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად გვხვდება პირველადი ჰიპოთირეოზი. ამ დროს გამომწვევი ფაქტორი, უშუალოდ ფარისებულ ჯირკვალს აზიანებს.

მეორადი ჰიპოთირეოზი გვხვდება უპირატესად სქესობრივ მომწიფებამდე და სქესობრივ მომწიფების პერიოდში. მას საფუძვლად უდევს ფარისებრი ჯირკვლის რეგულატორის, ჰიპოთალამაურ ჰიპოფიზური სისტემის პათოლოგია. როგორც აღვნიშნეთ, ჰიპოთირეოზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი, ანუ კრეტინიზმი შეიძლება გამოწვეული იყოს:

1. ემბრიოგენეზის დარღვევით, როდესაც ფარისებრი ჯირკვალი არ არსებობს ან განვითარების დეფექტია.

2. იოდის დეფიციტით ან საერთოდ არ არსებობით, რომელიც განაპირობებს ენდემურ კრეტინიზმს. ამ დროს ვითარდება ფარისებული ჯირკვლის ატროფია, ან ჩიყვი.

3. თანდაყოლილი ჩიყვით, რომელიც ვითარდება მუცლად ყოფნის პერიოდში, ნაყოფზე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

შეძენილი ჰიპოთირეოზის მიზეზებია: 1. ფარისებრი ჯირკვლის პირველადი ატროფია, 2. დიენცეფალურ – ჰიპოფიზური სისტემის უკმარისობა, 3. ფარისებრი ჯირკვლის დაავადების გამო ოპერაციული ჩარევა და ამ ჯირკვლის სპეციფიური ფუნქციების მეტ ნაკლები მოშლა.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის კლინიკური სურათი ვლინდება პირველსავე თვეებში. ყურადღებას იპყრობს ბავშვის თავისებური ჰაბიტუსი – შესახედაობა, პასტოზურობა. ამ დროს ადგილი აქვს კანისა და კანქვეშა ქსოვილების შეშუპებას. შეშუპების მიუხედავად კანზე თითის დაჭერით ჩაღრმავება არ რჩება, რადგან შეშუპება არის მუცინოზური ანუ ლორწოვანი ხასიათის. ამიტომაცაა, რომ ამ დაავადებას მიქსედემასაც (ლორწოვანას შეშუპებას) უწოდებენ.

დაავადება იწყება თანდათანობით, ავადმყოფებს აღენიშნებათ მოდუნება, მძინარობა, გონებრივი შრომის უუნარობა, მეხსიერების და მადის დაქვეითება, უხალისობა, წონაში მომატება, გამომეტყველების შეცვლა (გაფერმკრთალება, სახის შებიჟვინება, თვალის ქუთუთოების შეშუპება), ხმის შეცვლა, ხმა უფრო დაბალი და ხრინწიანი ხდება. ავადმყოფს აღენიშნება მეტყველებისა და მოძრაობის ერთგვარი შებოჭილობა, ზოგჯერ ენის გადიდება, ტუჩების შემსხვილება, ნახევრად პირღიაობა, ხშირად გადმოვარდნილი ენა. ავადმყოფის ობიექტური გამოკვლევის დროს აღინიშნება ფსიქიკური აგზნებულობისა და აქტივობის დაქვეითება – სახის ინდიფერენტული გამომეტყველება, მიმიკურ რეაქციის სიღარიბე, დუნე მოძრაობები, შეკითხვებზე პასუხის დაგვიანება. ხშირად აღინიშნება სმენის დაქვეითება, რაც შეეხება პერიფერიულ ნერვულ სისტემას – მყესთა რეფლექსები დაქვეითებულია. კანი მოყვითალო ელფერისაა.

ზოგჯერ სახის კანის მოყვითალო ფერმკრთალ ფონზე აღინიშნება ყვრიმალების შეწითლება, რაც თვალის ქუთუთოების შეშუპებას, თვალების ნაპრალების დაპატარავებას, სახის ერთგვარ შებიჟვინებას და უსიცოცხლო გამომეტყველებას აძლევს. კანი მშრალია, გასქელებული და უხეშია. ხელის მტევნები – ცივი. ხშირად აღინიშნება ჰიპოთერმია – დაბალი ტემპერატურა.



კანის გასქელება გამოწვეულია მათში მუკოპროტეინების (ერთგავრი ცილის) დაგროვებით, რასაც კანქვეშა და კუნთოვან ქსოვილში აქვს ხოლმე ადგილი.აღინიშნება თმების შეთხელება, ფრჩხილების ადვილი მტვრევადობა და ნელი ზრდა. კუჭის მხრივ, ხშირად მჟავიანობა დაქვეითებულია, ავადმყოფს აქვს შეკრულობა და მეტეორიზმი.

ასეთ ავადმყოფებში ხშირია სხვადასხვა ხარისხის ანემია, მჟავიანობა დაქვეითებულია, ვითარდება გასტრიტი. დაავადების დროს, განსაკუთრებით ხანში შესულებში, გულის დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც უშუალოდ მიქსედემური ცვლილებებით, ასევე ჰიპოთირეოზისათვის დამახასიათებელი ათეროსკლეროზული პროცესების ჭარბი განვითარებით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიზეზია ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის, სტენიკარდიისა და ინფარქტის ხშირი განვითარებისა.

მამაკაცებს ხშირად აღენიშნებათ პოტენციისა და სპერმატოგენეზის დაქვეითება. ქალებს კი, მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა ხასიათის დარღვევა, სტერილობის და მენოპაუზის ნაადრევი განვითარება.

მეორადი მიქსედემის დროს ხშირად გვხვდება მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა, ხოლო პირველადის დროს, შეიძლება იყოს გაძლიერებული მენსტრუალური სისხლდენა, ნივთიერებათა ცვლა, სისხლში ცილოვანი იოდის შემცველობა დაქვეითებულია, ასევე დაქვეითებულია ფარისებრი ჯირკვლის მიერ რადიოიოდიდის შთანთქმაც.

თუ ავადმყოფი მკურნალობის გარეშე დავტოვებთ, გამოხატული ჰიპოთირეოზი პროგრესირებს, რის გამოც ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად მცირდება. თვით ჰიპოთირეოზის პროგრესულობა იწვევს მძიმე ფორმის მიქსედემის ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად შესაძლებელია დამთავრდეს მიქსედემური კომის განვითარებით და ავადმყოფის დაღუპვით. მიქსედემური კომის განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა სტრესულმა სიტუაციამ (სიცივე, ფსიქიკური ან ფიზიკური ტრამვა, ინფექცია და სხვა). ამ დროს ვითარდება ძლიერი ჰიპოთერმია – ტემპერეტურის დაქვეითება.

**ჰიპოტონია** – წნევის დაქვეითება, ბრადიკარდია – მაჯისცემის შენელება, ცნობიერების დაბინდვა სრულ დაკარგვამდე და სხვა. ხშირად საქმე არ მიდის მიქსედემურ კომამდე და ავადმყოფები, ჩვეულებრივ, იღუპებიან გულ სისხლძარღვთა ან რომელიმე სნეულებისაგან.

მკურნალობა ძირითადად შენაცვლებითი ხასიათისაა და გამოიხატება ფარისებრი ჯირკვლის ექსტრაქტის (თირეოიდინის) ან ჰორმონების (თიროქსინის ან ტრიიოდთირონინის) ხმარებით. თუ მკურნალობის დაწყება ძალზე დაგვიანებული არ არის, თირეოიდინის დანიშვნა ჰიპოთირეოზის ყველა მოვლენის უკუგანვითარებას იწვევს. იგულისხმება, რომ, ამ დროს ორგანიზმში არაა განვითარებული ისეთი შეუბრუნებელი ცვლილებები (პირველ რიგში ცენტრალური ნერვული სისტემისა), როგორიც გვხვდება კრეტინიზმის დროს.

თირეოიდინსა და განსაკუთრებით თიროქსინს ახასიათებს ნელი, ხანგრძლივი მოქმედება და მკურნალობის პროცესში მისი დოზების მომატების აჩქარება საჭირო არ არის.

მკურნალობა მცირე დოზებით უნდა იყოს დაწყებული, განსაკუთრებით ხანში შესულებში, ათეროსკლეროზული ცვლილებების და სტენოკარდიული მოვლენების არსებობისას. ამ დროს თიროქსინის ჭარბმა დოზებმა შესაძლებელია მძიმე სტენოკარდიული შეტევა და ინფარქტის განვითარება გამოიწვიოს. მიქსედემის მკურნალობის შედეგად პირველ რიგში უმჯობესდება ფსიქიკური მდგომარეობა, საერთო გუნება განწყობა, შემდგომში ცვლილებები თანდათანობით ვლინდება გულის, კანის და სხვა სისტემების მხრივ. ყველა სიმპტომის სრულ უკუგანვითარებას ჩვეულებრივ 1-2 თვე სჭირდება.

ჰიპოთირეოზისა და მისი გართულებების მკურნალობა სიმპტომატურია. უნდა გვახსოვდეს, რომ მიქსედემით დაავადებულნი მორფიუმსა და სხვა სედატურ საშუალებებს ცუდად იტანენ. მათი მცირე დოზები საკმარისია, რათა გამოიწვიონ ღრმა ლეთარგია.

მიქსედემური კომის დროს საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების მიღება, რადგან დაგვიანებულ შემთხვევაში ავადმყოფთა უმრავლესობა იღუპება. მკურნალობა ძირითადად ტრიიოდთიროდინითა და კორტიკოსტეროიდებით წარმოებს.

# საქართველოში ღორის გრიპის 7 შემთხვევა გამოვლინდა

საქართველოში გასულ კვირას a ტიპის H1N1 ვირუსის – ე.წ. ღორის გრიპის 7 დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა.

როგორც „ინტერპესნიუსს" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, გრიპის სეზონი დაიწყო, სპეციალისტები ვირუსის შემთხვევების მატებას თებერვლის ბოლოს ელოდებიან.

პაატა იმნაძის ცნობით, პაციენტების მდგომარეობა, რომელთაც ღორის გრიპის ვირუსი დაუდასტურდათ, სტაბილურია.

– საქართველოში გავრცელებულია რინო ვირუსები (ე.წ. სურდო) და კორონა ვირუსები – ყველა მათგანი გაციებაა. ვირუსების გავრცელების დინამიკა ნორმაშია. სხვა ინფექციებთან დაკავშირებით განსაკუთრებული ტენდენციები არ შეინიშნება, – განაცხადა იმნაძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავენ და ურჩევენ, რომ ხშირად დაიბანონ ხელები, ვირუსის მატარებლები კი გამოჯანმრთელებამდე სახლში დარჩნენ.

პაატა იმნაძე 29-ე საბავშვო ბაღში 3 წლის გოგონას გარდაცვალებასაც შეეხო.

მან აღნიშნა, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს არ გააჩნია ლაბორატორიული დადასტურება იმისა, რომ გარდაცვლილს ნამდვილად ჩუტყვავილა ჰქონდა.

იმნაძის ინფორმაციით, მხოლოდ ჩუტყვავილას ფატალური შედეგი არ მოაქვს და შესაძლოა, აღნიშნულ ინფექციას რაიმე სხვა დაერთო.

# ბაღის აღსაზრდელი გოგონა ტოქსიკურმა შოკმა იმსხვერპლა

აღსაზრდელის გარდაცვალების გამო, თბილისის 29-ე საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია. „ინტერპრესნიუსს" თბილისის 29-ე საბავშვო ბაღის დირექტორმა ლალი ნოზაძემ დაუდასტურა, რომ ბაღის აღსაზრდელი, 3 წლისა და 7 თვის გოგონა რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ მცირეწლოვანს ჩუტყვავილას ინფექცია ჰქონდა, მდგომარეობის დამძიმების შედეგად კი, გოგონა ტოქსიკური შოკის დიაგნოზით გარდაიცვალა.

– აღსაზრდელის დას ჩუტყვავილა ჰქონდა, ის სკოლის მოსწავლეა. დას რომ გაუარა, ორი დღის შემდეგ იგივე ინფექცია პატარასაც შეხვდა. მას ძალიან მაღალი სიცხე დაეწყო. როგორც დედამ აღნიშნა, პედიატრს მიმართა, რომ საავადმყოფოში წაიყვანდა, მაგრამ ექიმმა უთხრა, რომ არ იყო საჭირო, რადგან ჩუტყვავილამ სიცხე იცის და გაუვლიდა. დედის თქმით, მდგომარეობა ძალიან რომ დამძიმდა, ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ უკვე დაწყებული ჰქონდა სეფსისი. სეფსისის ფონზე ბავშვს გაეთიშა ორივე თირკმელი, გაუკეთეს დიალიზი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბავშვი გარდაიცვალა, – აღნიშნა ლალი ნოზაძემ.

დირექტორის განმარტებით, დაინფიცირებული გოგონა საბავშვო ბაღში არ დადიოდა. მის დაინფიცირებამდე ბაღში ჩუტყვავილა სხვა ბავშვსაც ჰქონდა, თუმცა აღსაზრდელის ჯგუფში – არავის.

დირექტორის თქმით, 3 დეკემბერს ადგილზე ეპიდემიოლოგი იმყოფებოდა, მაგრამ სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ წყარო არა საბავშვო ბაღი, არამედ ოჯახში, დისგან მოტანილი ჩუტყვავილა იყო.

ბაღში ჩუტყვავილა ამჟამადაც არის გავრცელებული.

– დაწესებულებაში დღეს დეზინფექცია ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩუტყვავილა ჰაერ-წვეთოვანი გზით გადადის და დეზინფექცია არ შველის, დეზინფექცია მაინც ჩავატარეთ, რომ მშობლები დაწყნარებულიყვნენ და ჩვენც თავი დავიზღვიეთ, – აღნიშნა ლალი ნოზაძემ.

მისივე ინფორმაციით, თბილისის 29-ე საბავშვო ბაღში საალმზრდელო პროცესი ორშაბათს, 7 დეკემბრიდან განახლდება.

# სასარგებლო რჩევები



– ნერვული დაავადებისას ასმევენ ძაღლის ყურძნის წვენს.

– ნერვული დაავადების დროს ხმარობენ თავშავას.

– ფიქრობენ, რომ იორდასალამი იცავდა ადამიანს ღამის კოშმარებისაგან. გარდა ამისა, გულყრით დაავადებულს ურჩევენ იორდასალამი მუდამ ყელზე ჩამოკიდებული ჰქონოდა. ცხვირში ჩასაწვეთებელი წამლის შემადგენლობაში იორდასალამიც შედიოდა.

– მდოგვი იხმარება გულყრის და გულყრისმაგვარ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მოსაბრუნებლად.

– მოხარშულ და სათანადოდ შეზავებულ უკვდავას აჭმევენ ავადმყოფებს, სხვადასხვა ნერვული დაავადების დროს.

– ფითრი პარაზიტული ნახევარბუჩქია. ამ მცენარეს ხმარობენ ნერვული დაავადებების, თავბრუსხვევისა და კრუნჩხვების დროს.

– ნერვული დაავადების დროს ფართოდ იხმარება ქაფური.

# თაფლი წნევას აწესრიგებს

თაფლი უნიკალური ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც მდიდარია ახალგაზრდობის გამახანგრძლივებული ორგანული მჟავეებით, ვიტამინებით და პროვიტამინებით. შეიცავს ბაქტერიულ და სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგო ნივთიერებებს და ბუნებრივ სტიმულატორებს.



მუქი ფერის თაფლი განსაკუთრებით მდიდარია მიკროელემენტებით – რკინით, სპილენძითა და მაგნიუმით. სასარგებლოა ნაავადმყოფარი და დასუსტებული ორგანიზმისათვის, არის ბრწყინვალე კოსმეტიკური საშუალება.

თაფლი ერთადერთი ტკბილი პროდუქტია, რომელიც არ აღიზიანებს კბილებს, პირიქით აჯანსაღებს პირის ღრუს, მიკროფლორას და ხელს უშლის კბილების მინანქრის დაშლას. აი, კიდევ რა შეუძლია თაფლს:

ასპირინის ანალოგიურად ამცირებს სისხლის სიბლანტეს.

აწესრიგებს არტერიულ წნევას.

ამაღლებს ფიზიკურ და გონებრივ შრომისუნარიანობას.

ხსნის ნერვიულ დაძაბულობას და სტრესს.

აძლიერებს კუნთების ტონუსს ფიზიკური დატვირთვისას. არჩენს კანის ანთებებს, დეზინფექციას უკეთებს ჭრილობებს. ოდნავ შემთბარი გამოიყენება გარეგანი მკურნალობისათვის, ხსნის მწერის ნაკბენისაგან გამოწვეულ ქავილს.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს 45-50 გრადუსზე ზევით გამთბარი თაფლი კარგავს ბიოლოგიურ აქტიურობას, ამიტომ სამკურნალო მიზნით გამოყენებისას გახსენით თბილ და არა ცხელ წყალში.

თაფლს აქვს გალამაზების საუკეთესო თვისებაც. გაღიზიანებული კანისათვის: შეურიეთ ერთმანეთს 3 ჩაის კოვზი უცხიმო ხაჭო და 1 ჩაის კოვზი თაფლი, წაისვით სახეზე და 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით, უსაპნოდ. ფორიანი კანი გაიწმინდეთ ლიმონის ნაჭრით.

გამათეთრებელი ნიღაბი: შეურიეთ ერთმანეთს 100 გრამი პურის ფქვილი, 40 გრამი თაფლი და კარგად ათქვიფეთ, გაიჩერეთ სახეზე 15 წუთი და ჩამიბანეთ თბილი წყლით, უსაპნოდ, შემდეგ ცივი წყლით.

ნებისმიერი კანისათვის: 1 ლიმონის წვენს კარგად შეურიეთ 150 გრამი თაფლი. ნიღაბი წაისვით სახეზე. გაიჩერეთ 10-15 წუთი და შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით უსაპნოდ. ნარევი შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში ოთახის ტემპერატურაზე 2 კვირის განმავლობაში.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ავღანეთში თალიბების ახალი ლიდერი მოკლეს



ავღანეთში თალიბების ახალი ლიდერი მოლა მანსური მოკლეს.

მოლა მანსურს თავისივე თანამებრძოლებთან მოუვიდა კონფლიქტი, რაც ჩხუბსა და ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა.

ორმხრივი სროლის შედეგად მანსური დაიღუპა.

მოლა მანსური თალიბანის შეურიგებელ ფრთას განეკუთვნებოდა. ის ავღანეთის ამჟამინდელ მთავრობასთან ყოველმხრივი მოლაპარაკებების წინააღმდეგი იყო.

# თავდასხმა რესტორანზე



კაიროში უცნობი პირები რესტორანს დაესხნენ თავს. ზოგიერთი ცნობით, ისინი სამნი იყვნენ. მეორენი ამტკიცებენ, რომ თავდამსხმელთა რაოდენობა ოთხი იყო.

ტერორისტებმა „მოლოტოვის კოქტეილი" გამოიყენეს. შედეგად რესტორანს ცეცხლი მოეკიდა.

თავდასხმის შედეგად დაღუპულია 12 ადამიანი.

# დნეპროპეტროვსკს დნეპრი დაერქმევა



დნეპროპეტროვსკის ახლადარჩეულმა მერმა და უკრაინელ პატრიოტთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა, ფილატოვმა, განაცხადა, რომ დაუშვებელია, ქალაქს წითელი ჯალათის, პეტროვსკის, სახელი დარჩეს.

— პეტროვსკიმ თავის დროზე უკრაინაში სისხლის ტბა დააყენა! იდიოტიზმია, რომ მისი სახელი უკრაინულ ქალაქს ერქვას! — თქვა ფილატოვმა.

დნეპროპეტროვსკის ახალ სახელებად რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა.

— დნეპროპეტროვსკს, უბრალოდ, დნეპრი დაერქმევა. ხალხი მას ისედაც ასე ეძახდა, — განაცხადა მან.

# რაფატ ჩუბაროვი: „ყირიმი უკრაინას დაუბრუნდება!"



ყირიმელ თათართა ერთ-ერთმა ლიდერმა რაფატ ჩუბაროვმა განაცხადა, რომ ყირიმი უახლოეს ხანებში უკრაინას დაუბრუნდება.

— რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ მოსახლეობას იმედები გაუცრუა! ყირიმის ასეულათასობით ადამიანი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას მოითხოვს, — თქვა ჩუბაროვმა.

ჩუბაროვმა განაცხადა, რომ ყირიმის ენერგობლოკადა, რომელიც გრძელდება, წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებმაც ყირიმის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება უნდა უზრუნველყონ.

— ყირიმი უკრაინას უახლოეს მომავალში დაუბრუნდება, — აცხადებს ჩუბაროვი.

უკრაინელი აქტივისტები და ყირიმელი თათრები ყირიმის ენერგობლოკადას მაინც განაგრძობენ.


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".


# მოსკოვის მერიამ ოპოზიციას მიტინგის ჩატარებაზე ნებართვა არ მისცა



მოსკოვის მერიამ ოპოზიციას 12 დეკემბერს მიტინგის ჩატარებაზე უარი უთხრა.

— ახლოვდება ახალი წელი. მიტინგები და მსვლელობები ხალხს დისკომფორტს შეუქმნის, — ასეთია ოფიციალური მიზეზი.

ოპოზიცია ამ მიტინგის ჩატარებას 1 დეკემბერს აპირებდა, მაგრამ მერიამ მაშინაც უარი უთხრა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გერმანია სირიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება

გერმანია სირიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება გერმანიის პარლამენტმა სირიასა და ერაყში თავდაცვის სამინისტროს მისიის დაწყებას მხარი დაუჭირა. შესაბამისი გადაწყვეტილება ბუნდესტაგის 598 დეპუტატიდან 445-მა დეპუტატმა დაამტკიცა.

ერთწლიანი მისიის ღირებულება 134 მილიონამდე ევროს შეადგენს.

ოპერაციის ფარგლებში, სირიაში 1.200 გერმანელი ჯარისკაცი გაემგზავრება. დაგეგმილია ასევე, 6-მდე „ტორნადოს" სადაზვერვო თვითმფრინავების და გერმანული ფრეგატის გაგზავნა.

როგორც „ბიბისი" იტყობინება, გერმანია სადაზვერო თვითმფრინავებს თურქეთში ნატო-ს ინჯირლიკის ავიაბაზაზე განალაგებს. ამასთანავე, ბუნდესვერის ჯარისკაცების საბრძოლო მოქმედებში მონაწილეობა არ იგეგმება.

**ინტერპრესნიუსი**

# კაიროში თავდასხმის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა



კაიროში თავდასხმის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა. როგორც „ბიბისი" იტყობინება, ნიღბიანმა მამაკაცებმა ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რესტორანს ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს, თავად კი ადგილიდან მიიმალნენ.

თავდასხმის შედეგად შენობაში ხანძარი გაჩნდა. სამართალდამცავებმა ადგილზე მომუშავე „ბიბისი"-ს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ დაღუპულთა უმრავლესობა კვამლში გაიგუდა.

უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, თავდასხმა შესაძლოა, რესტორნის ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის მიერ იყოს ორგანიზებული.

**ინტერპრესნიუსი**

# მთიანი ყარაბაღის ზონაში შეიარაღებულ დაპირისპირებას მსხვერპლი მოჰყვა



მთიანი ყარაბაღის ზონაში მორიგ შეიარაღებულ დაპირისპირებას მსხვერპლი მოჰყვა.

როგორც აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, მოწინააღმდეგის შეიარაღებულმა ქვედანაყოფებმა აზერბაიჯანულ პოზიციებს შეუტიეს, თუმცა აზერბაიჯანულმა მხარემ თავდასხმა მოიგერია.

„სომხურმა მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა. დაღუპულთა რაოდენობა ზუსტდება", — აცხადებენ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში.

თავის მხრივ, მთიანი ყარაბაღის ე.წ. თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ აზერბაიჯანულმა დივერსიულმა ჯგუფმა სომხურ პოზიციებს შეუტია.

ორხმრივი სროლის შედეგად დაიღუპა სამხედრო მოსამსახურე, 1995 წელს დაბადებული ერიკ გრიგორიანი.

**ინტერპრესნიუსი**


# განცხადებები

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

**ლამარა თოდუა:**

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს", ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია".

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზღვის ტალღებისგან დამცავი გრძელი ჯებირი ნავსადგურში; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 5. შავი ზღვის ძველი სახელწოდება; 6. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 8. გერმანიის არმიის სახელწოდება; 10. აზნაურის ტიტული საფრანგეთში ძველად; 12. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 14. მგალობელი ჩიტი; 15. ქართველი დირიჟორი; 16. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 4. თეთრი ფერის ქართული სახელწოდება; 7. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 9. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 11. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 12. ქართული ხალხური ცეკვა; 13. დამატებითი ჯილდო, პრემია; 17. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. რევაზ ლაღიძის ოპერა; 19. შვედეთის დედაქალაქი; 20. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში.




**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

# ბავარიული დერბი ევროპის ეპიცენტრია

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მორიგი ტურია. ყველაზე გამორჩეული მატჩი კი ბავარიულია დერბია — გლადბახი-ბაიერნი. გერმანიაში არის კიდევ ერთი საინტერესო მატჩი — ვოლფსბურგი შინ დაუხვდება დორტმუნდს. ესპანეთში გამოსარჩევია ვალენსია-ბარსელონის დაპირისპირება. დანარჩენი რიგითი, მაგრამ ყველასთვის მნიშვნელოვანი მატჩებია.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.12 სტოკი-სიტი | 5.0 | 3.8 | 1.67 |
| 05.12 საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 05.12 მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 05.12 სუონსი-ლესტერი | 2.75 | 3.4 | 2.5 |
| 05.12 ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი | 4.33 | 3.5 | 1.83 |
| 05.12 უოტფორდი-ნორვიჩი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 05.12 არსენალი-სანდერლენდი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 05.12 ჩელსი-ბორნმუთი | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 06.12 ნიუკასლი-ლივერპული | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 07.12 ევერტონი-კრ.პალასი | 2.05 | 3.5 | 3.5 |

**სტოკი-სიტი**

სტოკი: *ტრავმ*-პიტერ ოდემვინჯი, შეი გივენი; *დისკვ*-რაიან შოუკროსი

სიტი: *ტრავმ*-ჯო ჰარტი, ვინსენტ კომპანი, პაბლო ზაბალეტა, სამირ ნასრი

**საუთჰემპტონი-ასტონ ვილა**

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ხოსე ფონტე, ჯეი როდრიგესი

ასტონ ვილა: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-კირონ კლარკი

**მანჩესტერი-ვესტ ჰემი**

მანჩესტერი: *ტრავმ*-მარკოს როხო, ანდერ ერერა, ფილ ჯონსი, ანტონიო ვალენსია, ლუკ შოუ

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-დიაფარა სახო, დარენ რენდოლფი, ენერ ვალენსია, დიმიტრი პოიე

**სუონსი-ლესტერი**

სუონსი: *ტრავმ*-არავინ

ლესტერი: *ტრავმ*-არავინ

**ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-ბენ ფოსტერი; *დისკვ*-კლაუდიო იაკობი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-რაიან მეისონი, ალექს პრიჩარდი

**უოტფორდი-ნორვიჩი**

უოტფორდი: *ტრავმ*-სებასტიან პროდი

ნორვიჩი: *ტრავმ*-მეტიუ იარვისი

**არსენალი-სანდერლენდი**

არსენალი: *ტრავმ*-სანტი კაზორლა, ალექსის სანჩისი, მიკელ არტეტა, ტეო უოლკოტი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი, დენი უელბეკი

სანდერლენდი: *ტრავმ*-სებასტიან ლარსონი, ჯერმეინ დეფო

**ჩელსი-ბორნმუთი**

ჩელსი: *ტრავმ*-არავინ

ბორნმუთი: *ტრავმ*-ადამ ფედერიკი, ჰარი არტერი, კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, მაქს გრადელი, ტაირონ მინგსი

**ნიუკასლი-ლივერპული**

ნიუკასლი: *ტრავმ*-ჯამაალ ლასკელესი, მასადიო ჰაიდარა, როლანდო აარონსი, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

ლივერპული: *ტრავმ*-კოუტინიუ, მამადუ სახო, დენი ინგსი, ჯოზეფ გომესი

**ევერტონი-კრ.პალასი**

ევერტონი: *ტრავმ*-გარეთ ბარი, ჯეიმს მაკკარტნი, ტილას ბრაუნინგი, ბრაიან ოვიედო, ფილ იაგიელკა, სტივენ პიენაარი

კრ.პალასი: *ტრავმ*-ბაკარი საკო; *დისკვ*-ვილფრედ ზაჰა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 30-14 | 29 |
| 2.ლესტერი | 14 | 8 | 5 | 1 | 29-21 | 29 |
| 3.მანჩესტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 20-10 | 28 |
| 4.არსენალი | 14 | 8 | 3 | 3 | 24-12 | 27 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 6 | 7 | 1 | 24-11 | 25 |
| 6.ლივერპული | 14 | 6 | 5 | 3 | 18-15 | 23 |
| 7.კრ.პალასი | 14 | 7 | 1 | 6 | 19-14 | 22 |
| 8.ვესტ ჰემი | 14 | 6 | 4 | 4 | 25-21 | 22 |
| 9.ევერტონი | 14 | 5 | 6 | 3 | 27-19 | 21 |
| 10.საუთჰემპტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-16 | 19 |
| 12.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 11-14 | 19 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-18 | 18 |
| 14.ჩელსი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-23 | 15 |
| 15.სუონსი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-19 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-25 | 13 |
| 17.სანდერლენდი | 14 | 3 | 3 | 8 | 16-26 | 12 |
| 18.ბორნმუთი | 14 | 2 | 4 | 8 | 17-30 | 10 |
| 19.ნიუკასლი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-30 | 10 |
| 20.ასტონ ვილა | 14 | 1 | 2 | 11 | 12-27 | 5 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.12 რეალი-ხეტაფე | 1.1 | 9.0 | 21.0 |
| 05.12 გრანადა-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 05.12 ვალენსია-ბარსელონა | 8.0 | 5.5 | 1.33 |
| 05.12 დეპორტივო-სევილია | 2.9 | 3.6 | 2.3 |
| 05.12 ბეტისი-სელტა | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 06.12 სოსიედადი-ეიბარი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 06.12 ვილიარეალი-რაიო | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 06.12 ხიხონი-ლას პალმასი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 06.12 ბილბაო-მალაგა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 07.12 ესპანიოლი-ლევანტე | 2.05 | 3.25 | 3.8 |

**რეალი-ხეტაფე**

რეალი: *ტრავმ*-დანიელ კარვახალი, რაფაელ ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო; *დისკვ*0ისკო

ხეტაფე: *ტრავმ*-ხუან როდრიგესი, ემილიანო ბუენდია, ალვარო მედრანი

**გრანადა-ატლეტიკო**

გრანადა: *ტრავმ*-ხავი მარკესი

ატლეტიკო: *ტრავმ*-ტიაგო

**ვალენსია-ბარსელონა**

ვალენსია: *ტრავმ*-შკოდრან მუსტაფი, ალვარო ნეგრედო, როდრიგო მორენო; *დისკვ*-ხავი ფუეგო, ჟოაო კანსელო

ბარსელონა: *ტრავმ*-დუგლას პერეირა, რაფინია

**დეპორტივო-სევილია**

დეპორტივო: *ტრავმ*-ხონას გუტიერესი, ცელსო ბორხესი

სევილია: *ტრავმ*-მარკო ანდრეოლი, გაელ კაკუტა, ბეტო, დანიელ კარიკო

**ბეტისი-სელტა**

ბეტისი: *ტრავმ*-დიდიე დიუგარი; *დისკვ*-ჰეიკო ვესტერმანი

სელტა: *ტრავმ*-პაბლო, ენდრიუ ფონტასი, ნემანია რადოია

**სოსიედადი-ეიბარი**

სოსიედადი: *ტრავმ*-მარკელ ბარგარა, ჯონათასი, დავიდ ზურუტუზა

ეიბარი: *ტრავმ*-გონსალო ესკალანტე

**ვილიარეალი-რაიო**

ვილიარეალი: *ტრავმ*-მარიო გასპარი, დანიელე ბონერა, ლეო ბაპტისტაო, ადრიანი

რაიო: *ტრავმ*-რაზვან რაცი, ტონო; *დისკვ*-რობერტო ტაჩორასი

**ხიხონი-ლას პალმასი**

ხიხონი: *ტრავმ*-რობერტო განელა, სერხიო ალვარესი

ლას პალმასი: *ტრავმ*-მუბარაქ ვაკასო, ანტოლინ ალკარაზი, ხავი კასტელანო

**ბილბაო-მალაგა**

ბილბაო: *ტრავმ*-არავი; *დისკვ*-მერიკ ლაპორტე

მალაგა: *ტრავმ*-იგნასიო კამაჩო; *დისკვ*-ფერნანდო ტისონე

**ესპანიოლი-ლევანტე**

ესპანიოლი: *ტრავმ*-არავინ

ლევანტე: *ტრავმ*-ივან ლოპესი; *დისკვ*-ხუანფრანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 0 | 2 | 33-12 | 33 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 9 | 2 | 2 | 18-6 | 29 |
| 3.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 28-11 | 27 |
| 4.სელტა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-21 | 24 |
| 5.დეპორტივო | 13 | 5 | 6 | 2 | 20-13 | 21 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 16-14 | 21 |
| 7.ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 21-16 | 20 |
| 8.ეიბარი | 13 | 5 | 5 | 3 | 17-14 | 20 |
| 9.ვალენსია | 13 | 5 | 4 | 4 | 17-10 | 19 |
| 10.სევილია | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 11.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-17 | 18 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-24 | 16 |
| 13.ხეტაფე | 13 | 4 | 2 | 7 | 14-19 | 14 |
| 14.რაიო | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 15.სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 16.ხიხონი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 17.გრანადა | 13 | 2 | 5 | 6 | 15-22 | 11 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 4 | 7 | 7-13 | 10 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 4 | 7 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 13 | 2 | 4 | 7 | 10-24 | 10 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.12 გლადბახი-ბაიერნი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 05.12 ინგლოშტადი-ჰოფენჰაიმი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 05.12 ჰამბურგი-მაინცი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 05.12 კიოლნი-აუგსბურგი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 05.12 ჰერტა-ლევერკუზენი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 05.12 ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 4.2 | 4.0 | 1.75 |
| 06.12 შტუტგარტი-ვერდერი | 1.91 | 4.0 | 3.5 |
| 06.12 აინტრახტი-დარმშტადი | 1.91 | 3.5 | 4.0 |

**გლადბახი-ბაიერნი**

გლადბახი: *ტრავმ*-იბრაჰიმა ტრაორე, ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი, მარტინ შტრანცლი

ბაიერნი: *ტრავმ*-დუგლას კოსტა, ტიაგო ალკანტარა, ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე, ფრენკ რიბერი

**ინგლოშტადი-ჰოფენჰაიმი**

ინგლოშტადი: *ტრავმ*-მარკუს სუტერი, კონსტანტინ ენგელი

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-არავინ

**ჰამბურგი-მაინცი**

ჰამბურგი: *ტრავმ*-ემირ სპახიჩი, გოიკო კაჩარი, ნიკოლაი მიულერი, დენის დიკმაიერი, ალბინ ეკდალი, აარონ ჰანტი

მაინცი: *ტრავმ*-ფაბიან ფრეი

**კიოლნი-აუგსბურგი**

კიოლნი: *ტრავმ*-არავინ

აუგსბურგი: *ტრავმ*-მარკუს ფოლნერი, ტობიას ვერნერი, ჰონგ იონგ-ჰო

**ჰერტა-ლევერკუზენი**

ჰერტა: *ტრავმ*-რონი, მიჩელ ვეიზერი, ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი, რობერტო ჰიბერტი

**ვოლფსბურგი-დორტმუნდი**

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-რიკარდო როდრიგესი

დორტმუნდი: *ტრავმ*-ნური შაჰინი

**შტუტგარტი-ვერდერი**

შტუტგარტი: *ტრავმ*-ფლორიან კლეინი, ტონი სუნიჩი, რობი კრუზე, მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინცეკი

ვერდერი: *ტრავმ*-სანტიაგო გარსია, აარონ იოჰანსენი

**აინტრახტი-დარმშტადი**

აინტრახტი: *ტრავმ*-შტეფან რეინარტცი, მარკო რუსი

დარმშტადი: *ტრავმ*-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 13 | 1 | 0 | 42-5 | 40 |
| 2.დორტმუნდი | 14 | 10 | 2 | 2 | 40-19 | 32 |
| 3.ვოლფსბურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 23-15 | 25 |
| 4.გლადბახი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-22 | 23 |
| 5.ჰერტა | 14 | 7 | 2 | 5 | 18-17 | 23 |
| 6.ლევერკუზენი | 14 | 6 | 3 | 5 | 18-18 | 21 |
| 7.ჰამბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-18 | 21 |
| 8.შალკე | 14 | 6 | 3 | 5 | 18-20 | 21 |
| 9.მაინცი | 14 | 6 | 2 | 6 | 20-20 | 20 |
| 10.კიოლნი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-18 | 20 |
| 11.ინგოლშტადტი | 14 | 5 | 4 | 5 | 10-14 | 19 |
| 12.დარმშტადტი | 14 | 3 | 6 | 5 | 14-19 | 15 |
| 13.აინტრახტი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-22 | 14 |
| 14.ჰანოვერი | 14 | 4 | 2 | 8 | 17-24 | 14 |
| 15.ვერდერი | 14 | 4 | 1 | 9 | 14-28 | 13 |
| 16.აუგსბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 17-25 | 10 |
| 17.შტუტგარტი | 14 | 3 | 1 | 10 | 18-35 | 10 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 14 | 1 | 6 | 7 | 15-23 | 9 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.12 ტორინო-რომა | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 05.12 ინტერი-ჯენოა | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 06.12 ბოლონია-ნაპოლი | 7.5 | 4.33 | 1.44 |
| 06.12 ვერონა-ემპოლი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 06.12 ფიორენტინა-უდინეზე | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 06.12 ფროზინონე-კიევო | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 06.12 ატალანტა-პალერმო | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 06.12 სამპდორია-სასუოლო | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 06.12 კარპი-მილანი | 4.8 | 3.4 | 1.8 |

**ტორინო-რომა**

ტორინო: *ტრავმ*-ჯოელ ობი, ნიკოლა მაქსიმოვიჩი

რომა: *ტრავმ*-მოჰამედ სალაჰი, ფრანჩესკო ტოტი; *დისკვ*-მაიკონი

**ინტერი-ჯენოა**

ინტერი: *ტრავმ*-ნემანია ვიდიჩი; *დისკვ*-იუტო ნაგატომო

ჯენოა: *ტრავმ*-ეზეკიელ მუნიოზი, ჯოვანი მარკეზე; *დისკვ*-ლეონარდო პავოლეტი

**ბოლონია-ნაპოლი**

ბოლონია: *ტრავმ*-დომენიკო მაიეტა, ემილ კრაფტი

ნაპოლი: *ტრავმ*-არავინ

**ვერონა-ემპოლი**

ვერონა: *ტრავმ*-მიქელანჯელო ალბერტაზი; *დისკვ*-რაფაელი

ემპოლი: *ტრავმ*-ლევან მჭედლიძე; *დისკვ*-ლორენცო ტონელი, მარკო ლივაია

**ფიორენტინა-უდინეზე**

ფიორენტინა: *ტრავმ*-იაკუბ ბლაჩიკოვსკი

უდინეზე: *ტრავმ*-პანაგიოტის კონე, დუვან ზაპატა

**ფროზინონე-კიევო**

ფროზინონე: *ტრავმ*-ადრიანო რუსო; *დისკვ*-ლეონარდო ბლანჩარდი

კიევო: *ტრავმ*-ფედერიკო მატიელო

**ატალანტა-პალერმო**

ატალანტა: *ტრავმ*-მაურისიო პინილია, ბაქარი დრამე; *დისკვ*-გულიელმო სტენდარდო, ალბერტო გრასი

პალერმო: *ტრავმ*-რობერტო ვიტიელო, უროს ჯურჯევიჩი; *დისკვ*-ფრანკო ვასკესი, ალიაზ სტრუნა

**სამპდორია-სასუოლო**

სამპდორია: *ტრავმ*-ხოაკიმ კორეა, ანდრეა კოდა

სასუოლო: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-დომენიკო ბერარდი

**კარპი-მილანი**

კარპი: *ტრავმ*-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

მილანი: *ტრავმ*-ნაიჯელ დე იონგი, დიეგო ლოპესი, მარიო ბალოტელი, ჯერემი მენეზი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 9 | 4 | 1 | 26-9 | 31 |
| 2.ინტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 17-9 | 30 |
| 3.ფიორენტინა | 14 | 9 | 2 | 3 | 27-12 | 29 |
| 4.რომა | 14 | 8 | 3 | 3 | 29-17 | 27 |
| 5.იუვენტუსი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-11 | 24 |
| 6.სასუოლო | 14 | 6 | 5 | 3 | 16-13 | 23 |
| 7.მილანი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-18 | 23 |
| 8.ტორინო | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 9.ატალანტა | 14 | 6 | 3 | 5 | 15-15 | 21 |
| 10.ლაციო | 14 | 6 | 1 | 7 | 17-22 | 19 |
| 11.უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 14-17 | 18 |
| 12.ემპოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-20 | 18 |
| 13.კიევო | 14 | 4 | 4 | 6 | 18-16 | 16 |
| 14.სამპდორია | 14 | 4 | 4 | 6 | 20-22 | 16 |
| 15.ჯენოა | 14 | 4 | 4 | 6 | 15-19 | 16 |
| 16.პალერმო | 14 | 4 | 3 | 7 | 13-20 | 15 |
| 17.ფროზინონე | 14 | 4 | 2 | 8 | 14-24 | 14 |
| 18.ბოლონია | 14 | 4 | 1 | 9 | 13-19 | 13 |
| 19.კარპი | 14 | 2 | 3 | 9 | 13-27 | 9 |
| 20.ვერონა | 14 | 0 | 6 | 8 | 10-24 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.12 ლიონი-ანჟე | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 05.12 რეიმსი-ტრუა | 1.8 | 3.6 | 4.4 |
| 05.12 გაზელეკი-ნანტი | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 05.12 ტულუზა-ლორიანი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 05.12 ბასტია-მონაკო | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 05.12 კაენი-ლილი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 06.12 მარსელი-მონპელიე | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 06.12 ბორდო-გენგამი | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 06.12 სტ.ეტიენი-რენი | 2.1 | 3.1 | 3.8 |

**ლიონი-ანჟე**

ლიონი: *ტრავმ*-კრისტოფერ ჟალე, სამუელ უმიტი, ალდო კალულუ, ნაბილ ფეკირი

ანჟე: *ტრავმ*-სლიმანე სისოკო, ფერებორი დონე

**რეიმსი-ტრუა**

რეიმსი: *ტრავმ*-გრეიონ კიეი, ატილა ტურანი, ფრედერიკ ბულო, ანტუან კონტე

ტრუა: *ტრავმ*-ჩაუკ ბენ საადა, დენის პეტრიჩი, დუშან ვესკოვაჩი, მორი კონე

**გაზელეკი-ნანტი**

გაზელეკი: *ტრავმ*-პაბლო მარტინესი, კლემენტ მაური, ალასანე ტურე

ნანტი: *ტრავმ*-ბირამა ტურე, ადრიენ ტომასონი, ვალენტინ რონიერი

**ტულუზა-ლორიანი**

ტულუზა: *ტრავმ*-ტონგო დუმბია

ლორიანი: *ტრავმ*-ვესლი ლაუტოა, რაფიდინე აბდულა

**ბასტია-მონაკო**

ბასტია: *ტრავმ*-სებასტიან სკილაჩი, კრისტოფერ მაბულუ, ფრანსუა კამანო, ალექსანდერ ჯიკუ

მონაკო: *ტრავმ*-ჯერემი ტულალანი, ადამა ტრაორე, ნაბილ დირარი, ივან კავალიერო, ტომას ლემარი

**კაენი-ლილი**

კაენი: *ტრავმ*-ემანულ იმორუ

ლილი: *ტრავმ*-მარკო ბასა, მუნირ ობასი

**მარსელი-მონპელიე**

მარსელი: *ტრავმ*-პაოლო დე ჩელიე

მონპელიე: *ტრავმ*-პოლ ლანსე, იორის მავრო, კევინ ბერიგო

**ბორდო-გენგამი**

ბორდო: *ტრავმ*-ნიკოლას პალოისი, პაბლო, ტომას ტურე, გრეგუარ სერტიჩი

გენგამი: *ტრავმ*-ლიონელ მატისი, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

**სტ.ეტიენი-რენი**

სტ.ეტიენი: *ტრავმ*-ფლორენტინ პოგბა, რობერტ ბერიჩი, ჯონათან ბამბა, კევინ ტეოფილე

რენი: *ტრავმ*-პოლ ნტეპი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 13 | 3 | 0 | 37-8 | 42 |
| 2.კაენი | 16 | 9 | 2 | 5 | 19-16 | 29 |
| 3.ანჟე | 16 | 7 | 6 | 3 | 14-9 | 27 |
| 4.ლიონი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-14 | 26 |
| 5.ნიცა | 16 | 7 | 4 | 5 | 30-19 | 25 |
| 6.მონაკო | 16 | 6 | 7 | 3 | 22-22 | 25 |
| 7.სტ.ეტიენი | 16 | 8 | 1 | 7 | 20-20 | 25 |
| 8.მარსელი | 16 | 6 | 4 | 6 | 24-17 | 22 |
| 9.ლორიანი | 16 | 5 | 7 | 4 | 24-21 | 22 |
| 10.რენი | 16 | 5 | 7 | 4 | 21-19 | 22 |
| 11.ნანტი | 16 | 6 | 3 | 7 | 12-15 | 21 |
| 12.რეიმსი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-20 | 19 |
| 13.გაზელეკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-19 | 19 |
| 14.გენგამი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-22 | 19 |
| 15.მონპელიე | 16 | 5 | 3 | 8 | 18-21 | 18 |
| 16.ბასტია | 16 | 5 | 3 | 8 | 16-21 | 18 |
| 17.ბორდო | 16 | 4 | 6 | 6 | 20-26 | 18 |
| 18.ლილი | 16 | 3 | 8 | 5 | 9-11 | 17 |
| 19.ტულუზა | 16 | 3 | 6 | 7 | 17-28 | 15 |
| 20.ტრუა | 16 | 0 | 5 | 11 | 8-33 | 5 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 7 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 14.05 მხ/ფ **"ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი"** 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ქესლი"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "გამომძიებელი რეპორტიორი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"გამოცხადება"**

08.00 დოკ/ფ "გიიკების რევანში" 09.00 მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** 10.30 დოკ/ფ "ბავარია" 11.00 ქართ. მხ/ფ **"სხვისი შვილები"** 12.30 დოკ/ფ "დიდი ბრიტანეთი" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"გზაჯვარედინი"** 11.20 სერ. **"რჩეული"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"დაკარგული წლები"** 18.45, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00, 23.00, 00.00 სერ. **"შუა ქალაქში – 10"** 01.00 მხ/ფ **"ფარული მუქარა"** (ჯ.ტრავოლტა) 02.35 მხ/ფ **"ჩამ-შვები"**

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.55 სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

